სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 ივნისი 2004 №136 (2155) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS პორტრეტები



რუუდ ვან ნისტელროიმ 35 წლის ოლივერ ჯანის „საჩუქარზე" ბევრი ირბინა

გერმანიამ გერმანია დაინახა, ევროპამ აუჩეხავი ლატვია



კონტურები და ერთი-მეორე

უსწრაფესად ჩაიქროლა ევროპის ჩემპიონატის ოთხმა დღემ და გაიყოლა პირველი ტური.

ამ ტურში იყო მოულოდნელი საბერძნეთი და მოსალოდნელი ზინედინ ზიდანი. იყო ულიმღამო ინგლისი და ჰოლანდია და როგორც ყოველთვის ჯგუფში ულიმღამო იტალია. ამათ საპირისპიროდ კი გამოჩნდა შვედეთი მფრინავი ჰენრიკ ლარსონით. ლატვიას, რომელსაც ყველაზე ცუდად უნდა ეთამაშა, ძლივს გადაურჩა ფავორიტთაგანი ჩეხეთი, ხოლო ყველაზე ცუდად ბულგარეთმა ითამაშა.

საერთოდ კი, პირველი ტური იმითაა საინტერესო, რომ იგებ, ვინ რისი მაქნისია.

დღეს მეორე ტური იწყება და უთუოდ დალაგდება რაღაც-რაღაცეები. რადგან ჩემპიონატმა სისწრაფე აკრიფა, ეს მეორე ტური პირველზე სწრაფად გაირბენს და ბოლომდე ასე გაგრძელდება.



რუდი ფიოლერი

შესვენებამდე ძალიან კარგად ვითამაშეთ და გოლიც დავიმსახურეთ, თუმც ფრე ალბათ სამართლიანია, რადგან მეორე ტაიმში ჰოლანდიელები ჩვენზე ოდნავ უკეთესები იყვნენ.

15 ივნისი
D ჯგუფი. I ტური
ჰორტუ. დრაგაუ

გერმანია 1 — ჰოლანდია 1

1:0 ფრინგსი (30), 1:1 ვან ნისტელროი (81)

გერმანია	ჰოლანდია
1 კანი	1 ვან დერ სარი
4 ვიორნსი, 5 ნოვოტნი	3 სტამი, 4 ბუმა
3 ფრიდრიხი, 21 ლამი	18 ჰეიტინგა, 5 ვან ბრონკჰორსტი
6 ბაუმანი	6 კოკუ, 8 დავიდსი
19 შნაიდერი, 22 ფრინგსი	7 ვან დერ მეიდე, 22 ზენდენი
8 ჰამანი, 13 ბალაკი	11 ვან დერ ვაარტი
10 კურანი	10 ვან ნისტელროი
მწვრთნელები: რუდი ფიოლერი	მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
შეცვლა: შნაიდერი — 7 შვაინსტაიგერი (68), ფრინგსი — 18 ერნსტი (79), კურანი — 9 ბობიჩი (85)	შეცვლა: დავიდსი — 14 სნეიდერი (46), ზენდენი — 16 ოვერმარსი (46), ჰეიტინგა — 17 ვან ჰოიდონკი (74)



ერთგული ბიბლიოთეკა

დიკ ადვოკაატი

ფეხბურთელებმა პირველი ნახევარი აშკარად ჩააგდეს, რადგან ჩემი დავალება ვერ შეასრულეს. ნახევარმცველები პასიურობდნენ და მოედნის ცენტრი დავთმეთ. ზენდენი და დავიდსი ამიტომ შევცვალე.

გაფრთხილება: კურანი (12), კოკუ (29), სტამი (73), ბალაკი (90)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი). 46 636 მაყურებელი

ჯარიმა: 16-18; კუთხური: 5-7; კარისკენ დარტყმა: 9-8; კარში დარტყმა: 6-6; თამაშგარე: 0-0

Euro 2004 — გიორგი დარჯანია

გერმანიამ გერმანია იგრძნო

ჯაიზერს ჯაი უბრძანებია

რუუდ ვან ნისტელროი

სულ ორჯერ გამოჩნდა მოედანზე — თამაშის დაწყებისთანავე და ბოლოსკენ, 81-ე წუთზე. დანარჩენ დროს გერმანელ მცველებს ისე კარგად ჰ ყავდათ ჩაკეტილი, გინდ ყოფილიყო, გინდ არა. იმ ორი მომენტიდან კი ვან ნისტელროი ერთ გოლს გამორჩა, რაც ურიგო რას ჰქვია, გადასარევი შედეგია. პირველ წუთებზე ფილიპ კოკუმ ვან ნისტელროის მცველებს შორის გაუძვრინა ბურთი, მაგრამ ფორვარდს სულ ოდნავ დააკლდა ფეხი წაეკრა, მოედანზე მისი მეორე გაელვება კი ასე მოხდა: ფლანგზე ვან დერ მეიდემ ერნსტს აჯობა, ბურთი წაართვა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც ვან ნისტელროიმ კრისტიან ვიორნსს დააასწრო და ძალიან ეფექტური დარტყმით გაიტანა. ამ გოლმა ჰოლანდიელებს ერთი ქულა მოუტანა, გერმანელებს ორი დააკარგვინა, მაგრამ ნუ გაიკვირვებთ, თუ ამ ფრემ გერმანელები უფრო გაახარა. ფრანც ბეკენბაუერმა ნამატჩევს თქვა, ჩვენებს ასე კარგად ბოლო სამი წელია, არ უთამაშიათო და რუდი ფიოლერის ქებაში დაილია. ბეკენბაუერი კი, მოგეხსენებათ, ერთი, რომ ფეხბურთის საუკეთესო მცოდნეა და თან ბუნდესნაკრებს იშვიათად აქებს ხოლმე.

ანგარიში კი ერთი შეხედვით უცნაური, შემთხვევითი გოლით გაიხსნა. მარცხენა ფლანგზე, აუტის ხაზის სიახლოვიდან, ტორსტენ ფრინგსმა ჯარიმა დაარტყა, უფრო სწორად, საჯარიმოში ჩააწოდა. იქ ბურთს რიგრიგობით ასცდნენ ბერნდ შნაიდერი, ფრანკ ბაუმანი და ედვინ ვან დერ სარი, რის მერეც ბურთი შორეულ ძელს მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა.

როგორც აღვწერეთ, გოლი მართლა შემთხვევით გასულს ჰგავს, მაგრამ საფუძველი არ გაგვაჩნია, თავად მის ავტორს არ დავუჯეროთ. ფრინგსმა კი თქვა: „ვარჯიშებზე მე და მიხაელ ბალაკს ფლანგიდან ჯარიმის ჩაწოდება ათასჯერ მაინც გვაქვს დამუშავებული. კარში ვარტყამთ, ოღონდ ისეთი ტრაექტორით, რომ ვინმეს თავის წარტყმა შეეძლოს. ანუ, მე გამოზომილად კარში დავარტყი და ბურთს მიმართულება ვერავინ რომ შეუცვალა, არ ნიშნავს, თითქოს გოლი შემთხვევით გავიდა. ვიმეორებ, ეს კარში დარტყმა იყო.“

გოლები გოლებად და თამაში აშკარად გერმანელებისა გახლდათ, რისი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რუდი ფიოლერმა დიკ ადვოკაატს ტაქტიკაში მოუგო. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, კინკილა ფორვარდად გამწესებულ ვან ნისტელროის იმ ერთი შემთხვევის გარდა გერმანელმა მცველებმა ფეხი არ გაანძრევინეს და როგორც რუდი ფიოლერი ამტკიცებს, არც ის გოლი უნდა გასულიყო — ბუნდესმწვრთნელის აზრით, საგოლე პასისას ენდი ვან დერ მეიდემ ფაბიან ერნსტთან წესი დაარღვია.

გარდა ამისა, ჰოლანდიელთა ნახევარდაცვაში ცუდად ითამაშეს ედგარ დავიდსმა და ბუდევინ ზენდენმა, რაც შესვენებისას მათი შეცვლის მიზეზიც გახდა.

ისიც ვთქვათ, რომ ბასტიან შვაინსტაიგერი ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში და რამდენჯერმე უაღრესად სახიფათოდაც გაამწვავა. ამ ახალგაზრდა ბაიერნელს კი ჩემპიონთა ლიგაში პირველად გამოჩენის მერე მგონი, ნახევარი ევროპა გულშემატკივრობს.

ცხადია, უნდა ვახსენოთ ოლივერ კანიც, თუნდაც იმიტომ, რომ კანი გუშინ 35 წლისა მოიყარა და ჰოლანდიელთა შეფასება უფრო მოკრძალებული იყო და კმაყოფილება ნაკლებად ჩანდა. ვან ნისტელროიმ თქვა, ის მიხარია, წაგებას რომ გადავურჩითო. დიკ ადვოკაატმა კი დასძინა: „გერმანელების გოლში ვან დერ სარს ვერ დავადანაშაულებ, ეს მთლიანად დაცვის ბრალი იყო. საპასუხო გოლით კი ვაჩვენეთ, რომ გოლის შექმნა არაფრისგან შეგვიძლია.“

ედვინ ვან დერ სარმა შორეული საჯარიმო გაუშვა



კარელ ბრუკნერი

შესვენების შემდეგ გაცილებით აგრესიულად ვითამაშეთ. 45 წუთი გვქონდა და ამიტომ არ ვნერვიულობდით. სამი ქულა მივითვალეთ და შემიძლია ვთქვა, რომ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა

ჩეხეთი 2 — 15 ივნისი, D ჯგუფი, I ტური, ევეირუ, მუნისიპალი — ლატვია 1

0:1 ვერპაკოვსკისი (45), 1:1 ბაროში (73), 2:1 ჰაინცი (85)

1 ჩეხი
21 უიფალუში, 5 ბოლფი
2 გრიგერა, 6 იანკულოვსკი
4 გალაშეკი
8 პობორსკი, 11 ნედვედი
10 როსიცკი
15 ბაროში
9 კოლერი

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

შეცვლა
გრიგერა — 18 ჰაინცი (56), გალაშეკი — 7 შმიცერი (64), ბაროში — 13 ჟირანეკი (87)

1 კოლინკო
4 ზემლინსკისი, 2 სტეპანოვსი
7 ისაკოვსი, 6 ბლაგონადეჟდინსი
14 ლობანიოვსი
8 გლეიდელისი, 10 რუბინსი
3 ასტაფიევსი
11 პროხორენკოვსი
9 ვერპაკოვსკისი

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

შეცვლა
პროხორენკოვსი — 5 ლაიზანსი (71), ვერპაკოვსკისი — 17 პახარსი (81), ლობანიოვსი — 23 რიმკუსი (90)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი). 20 000 მაყურებელი

ჯარიმა: 11-20; კუთხური: 13-3; კარისკენ დარტყმა: 17-5; კარში დარტყმა: 12-3; თამაშგარე: 6-1

ალექსანდრს სტარკოვსი

თავიდან ვნერვიულობდით და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ახლა მჯერა, რომ ჩემს გუნდს ძლიერ მეტოქეებთან თანაბრად თამაში შეუძლია

ფიქრის დრო არაა!

ჰაინცმა მარცხენა მარჯვედ მოიქნია

ლატვიას სენსაცია მარეკ ჰაინცმა არ დაანება

ლატვიის ისტორიული გოლი მარის ვერპაკოვსკისისა იყო

ვაჟა ხუციშვილი

ლატვიამ მეტოქე ისე ანერვიულა, რომ კარლ ბრუკნერის მობერებულ სახეს ალბათ ნაოჭებს შემატებდა და ლუდით გვარიანად გაჟღენთილ ჩეხ ქომაგსაც გამოაფხიზლებდა.

თურქეთის სენსაციურად მძლეველ ბალტიისპირელებს უფრო დიდ სენსაციამდე ცოტა დააკლდათ. მათ ევროპის ჩემპიონატზე პირველი, ისტორიული გოლი გაიტანეს. ასევე ისტორიული ქულის მოპოვებაც შეეძლოთ, თუმც ჩეხურმა კლასმა შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაჭრა.

მატჩამდე ალექსანდრს სტარკოვსმა თქვა, ჩვენთვის კარგი შედეგი მოგება ან ფრე იქნებაო. ისიც დასძინა, პირველივე თამაშში გოლს თუ გავიტანთ, თავს ბედნიერად ჩავთვლიო. 73-ე წუთამდე, სანამ ჩეხები გაათანაბრებდნენ, სტარკოვსზე ბედნიერი კაცი ალბათ დუნიაზე არ მოიძებნებოდა, მაგრამ...

უდავოა, რომ ბრუკნერის შეგირდები უპირატესობას ფლობდნენ, ოღონდ პირველ ტაიმში მეტოქის კარის გასაღებს ამაოდ ეძებდნენ.

ერთადერთი რეალური მომენტი იან კოლერს ჰქონდა. ლატვიელმა მცველმა ბურთი მეკარეს უდროოდ დაუბრუნა, მაგრამ დორტმუნდელმა ფორვარდმა გრძელფეხობის მიუხედავად მეკარეს ვერ დაასწრო.

ჩეხები კარში შორიდან ხშირად ურტყამდნენ. ტომაშ როსიცკის ერთხელ კოლინკომ აუღო, მეორედ კი ჩარჩოს ააცილა.

აღსანიშნავია ლატვიელების გულმოდგინება, რომლებიც კარისკენ წასულ ბურთებს ისე ეღობებოდნენ, როგორც მტერს სამშობლოს საზღვარზე.

შესვენებამდე მცველები კოლინკოს საქმეს უადვილებდნენ და მეკარესაც ნაკლებად მოუწია ხტომა.

პირველი ნახევრის ბოლო წუთზე ლატვიამ ანგარიში გახსნა. მათი საგოლე კონტრშეტევა მილან ბაროშის სიძუნწის გამო დაიწყო.

„ლივერპულის“ ფორვარდმა მეტოქის საჯარიმომდე ბურთიანად მიირბინა, უკეთეს ალაგზე მყოფ თანაგუნდელს პასი არ მიაწოდა, მეურვემ ბურთი ასწაპნა და მარცხენა ფლანგზე გაქცეულ პროხორენკოვსს გაუჭრა.

პროხორენკოვსმა პეტრ ჩეხის კარის წინ ეულად მყოფ ვერპაკოვსკისს გაუგორა და ლატვიელთა გმირს ორიოდ მეტრიდან გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმიდან ჩეხთა შტურმი დაიწყო, ბალტიისპირელები კი მეკარიანად სასწაულებრივ იგერიებდნენ ბურთებს. მილან ბაროშმა ორჯერ ზედიზედ ასპოცენტიანი მომენტი გააცუდა, პობორსკის გასროლილი ძელმა აისხლიტა, პაველ ნედვედს კი კოლინკომ აჯობა.

თავის მხრივ, ვერპაკოვსკისს და პროხორენკოვს შეეძლოთ მეორის გატანა და ჩეხთათვის საქმის გართულება. ვერპაკოვსკისს მცველმა ფეხიდან ააცილა ბურთი, ხოლო პროხორენკოვსის დარტყმული ძელთან გასრიალდა.

ბრუკნერს მოედანზე უკვე ოთხი ფორვარდი ჰყავდა, ჩეხები გააფრებით უტევდნენ და გოლმაც არ დაახანა. პირით ხაზიდან თითქმის გადასული ბურთი პობორსკიმ შემოაბრუნა და მისი პასით მილან ბაროშმა გაათანაბრა.

თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მარეკ ჰაინცმა მეტოქის მცველთა დაბნეულობით ისარგებლა. ლატვიელებმა მას ხელი ვერ შეუშალეს და კოლინკოს კარში მეორე გოლი გავიდა.

„ჩვენ კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა ის, რასაც აშკარად არ ველოდით. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ გაცილებით აგრესიულად ვითამაშეთ. 45 წუთი გვქონდა და ამიტომ არ ვნერვიულობდით. სამი ქულა ავიღეთ და შემიძლია ვთქვა, რომ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა“ — განაცხადა ჩეხთა მწვრთნელმა, ხოლო ჰაინცმა გოლი აღწერა: „არეულობაში იღბალმა ბურთი ჩემთან მოაგორა. მარჯვენით დარტყმა მსურდა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო და ცაცია დავკარი. ლატვია ნაღდად ძლიერი გუნდია და ეტყობა, რომ სათანადოდ მომზადებულა“.

პეტრ ჩეხი: „გასახდელში დაშვებულ შეცდომებზე ვისაუბრეთ და არ ავფორიაქებულვართ, წინ ხომ მეორე ტაიმი გველოდა“.

მილან ბაროში: „ჩემი გოლი ჯერჯერობით უმნიშვნელოვანესია კარიერაში, რადგან გათანაბრების შემდეგ საკუთარი თავისა ვირწმუნეთ“.

„თავიდან ვნერვიულობდით და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ახლა მჯერა, რომ ჩემს გუნდს ძლიერ მეტოქეებთან ტოლსწორად თამაში შეუძლია“ — მოკლედ მოჭრა ალექსანდრს სტარკოვსმა, რომლის შეგირდებიც ტაშით გააცილეს.

ჩეხეთი	1	1	0	0	2:1	3
გერმანია	1	0	1	0	1:1	1
ჰოლანდია	1	0	1	0	1:1	1
ლატვია	1	0	0	1	1:2	0

II ტური: 19 ივნისი
ლატვია — გერმანია
ჰოლანდია — ჩეხეთი

ბიო
ახვლედიანი
პორტუგალიიდან

წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი





მაშ, ცხელა და ჩემპიონატი კი გახურდა.

ოთხ დღეში ოთხი მაგარი თამაში კი მოგროვდა და მეტი რაღა გინდა.

ჩვენ ვიმყოფებით ნარინჯისფერ ქალაქ პორტუში და გირჩევთ, თქვენც აქ გადმოსახლდეთ, ვინაიდან აქ არის ფეხბურთი ისევე, როგორც პორტუგალიის სხვა ქალაქებში, მაგრამ ყველაზე მეტი მაინც აქ და ლისაბონში.

თეთრი „დრაგაუ", წითელი „ლუზი", მწვანე „ალვალადე", ჭადრაკული „ბესა", აი, ადგილები ნამდვილი ფეხბურთისა დღევანდელ ევროპაში.

ნამდვილი და დიდი ფეხბურთი ნამდვილი და დიდი მოთამაშეების შესრულებით, ოღონდაც, წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი — აი, ფეხბურთელთა მთავარი მოთხოვნა.

ალბათ, გახსოვთ 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს თასის შუბის ტარზე დამდგარი მზე და მოედანზე შესროლილი ყინულის პატარა პარკები.

პარკები აქ არ არის, მაგრამ წყალი, განსაკუთრებით კი 17 საათზე დანიშნულ თამაშებზე, იმდენი ისმევა გუნდების მხრიდან, რომ გინესის კომისიაც კი დაინტერესდება. წყალი და ოფლი ქალაქ პორტუში, რომელიც შედარებით გრილ ქალაქად ითვლება. წყალი და ოფლი გიმარაეშში, რომელიც პორტუზე კიდევ უფრო გრილ ქალაქად ითვლება. სამაგიეროდ კი, ნამდვილი ფეხბურთია.

უეფას სულ რიგითი ჩინოვნიკებიც კი წაგეჭორავებიან, რომ ჩემპიონატის ორგანიზაცია ვერ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს და იმის ნახევარიც არ არის, როგორიც იყო ბელგიასა და ჰოლანდიაში: აგვიანებს ავტობუსი, სტიუარდები და მოხალისეები ტელევიზორთან მიმსხდარან, უეცრად კომპიუტერი დადუმდება და ასე დაუსრულებლივ.

ერთი ესეც მითხარით, როგორ უნდა იყოს ორგანიზაცია პორტუგალიაში ბელგიურ-ჰოლანდიურის მსგავსი? პორტუგალიაში სხვა რამეებია ბელგიურსა და ჰოლანდიურზე უფრო მაგარი, ორგანიზაციას კი უვარგისი მაინც არ ეთქმის, უბრალოდ, ეს პორტუგალიელთა ტემპი და საქმის კეთების წესია. აქ არავის ეზარება არც ჟურნალისტის დახმარება და არც რამე ამგვარი. უბრალოდ, ყველაფერი უფრო ნელა გამოდის და მზისა და სიესტის ქვეყანაში, ცხადია, სისწრაფესა და ზუსტ კუთხეებს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორიც ჩრდილოეთში.

აი, ფანჯრიდან გადავცქერი ახოვან, ბრგე, ნარინჯისფერ ასეულს, გოლიათ ჰოლანდიელებს, რომლებიც გულღიად როხრობენ, შორიახლოს კი ჩვენი სტიუარდი, ოლივეირა დგას, რომელიც წელამდე ძლივს მისწვდება იმ ჰოლანდიელებს. ოლივეირა ხმელია და შავგვრემანი, კეთილად იღიმის და ლაპარაკობს ხმადაბლა, მოძრაობს ნელა და სულ ღიღინებს. რის ორგანიზაცია, ამხანაგებო! ორგანიზაცია მაქსიმალურია იმის გათვალისწინებით, თუ სად მიმდინარეობს ჩემპიონატი.

პორტუგალიის ტურისტულ ბუკლეტებში მთავარ სარეკლამო სლოგანად წერია ფრაზა: ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ თამაშის ყველაზე ლამაზი და დაუვიწყარი ჟამი არის დამატებითი დრო. რომ მოვთარგმნოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველივე კარგი ოფიციალური დროის შემდეგ ხდება და მართლაც ასეა, აქედანაც პასუხი იმ კითხვაზე, თუ რატომ არ ჩქარობენ აქაურები. ყოველივე კარგი მაინც მაშინ ხდება, როცა დაიგვიანებ. ეს დაგვიანება კი დაგვიანებად არ ითვლება, ვინაიდან აქ პორტუგალიაა და არა გაზომილი და გაჭრილ-გამოთვლილი ჩრდილოეთი. თუ მაინცდამაინც სიზუსტე, წამები და ზუსტი პასუხები გწადიათ, დაელოდეთ იმ დროს, როცა ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში გაიმართება.

აქ კი სხვა ხალხი ღიღინებს.

საერთოდ, რატომ არის პორტუგალია ევროპა? პორტუგალია პორტუგალიაა.

წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი.

ძალიან ძნელია, როცა სიცხეში გეჩქარება. ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტებისთვის ახლა უმძიმესი დღეები დგას. ერთი შეცდომა, ერთი დაგვიანება და ალბათ უსამსახუროდ ხარ. სირბილი სიცხეში, თუნდაც მანქანით ქროლვა, ნაკლებსასიამოვნოა. ჟურნალისტისთვის არ გამოდის **To enjoi the game.** ჟურნალისტისთვის აქ არანაკლები სამსახური და ნერვული ფონია, ვიდრე ფეხბურთელისთვის. მძიმე ჩანთები, გრძელი ნაბიჯი, დარჩენილი წუთები, რომელიც ეგებ პორტუგალიელი მძღოლისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, შენთვის კი ყველაფერს და ათასი ამგვარი წვრილმანი გაფიქრებინებს, რომ დიდი საფეხბურთო შეჯიბრი არაფრით განსხვავდება, ვთქვათ, ერაყში ტრიალისგან. კი, მართალია, ტყვია არ მოგხვდება, მაგრამ შეიძლება სულ სხვა ტყვია მოგხვდეს, პროფესიული ჩავარდნისა.

ამიტომ, ფეხბურთზე მწერალთა და მოლაპარაკეთა კასტა წარმოუდგენლად მობილიზებული, თავიდან ბოლომდე გაწუწული და კონცენტრირებულია. ყველაფერთან ერთად, ხომ უნდა დაწერო. შენს ნაწერს მილიონები კითხულობენ. შენი ნაწერი თუ უკეთესია არაა, უარესი არაფრით უნდა იყოს შენი მეზობლის ნაწერზე. ხელის კომპიუტერების მთელი ტყე, ჩარგული თავები, სირბილი, ორ-ორი და სამ-სამი ტელეფონის ტრიალი — აი, პრესცენტრების სურათი და, რა თქმა უნდა, წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი.

ავერ, მიმჯდარა „ტოტენჰემის" ყოფილი მწვრთნელი დევიდ პლიტი, ფეხბურთის ბებერი მელაკუდა და რვეულში ჩანაშნულ ტაქტიკურ ნახაზს ჩაჰკირკიტებს ამ ხნის კაცი, რომელიც ვარსკვლავ-კომენტატორად მსახურობს. ობიექტივების ტყე, ფოტოგრაფების სირბილი ზევით-ქვევით, კვლავ ოფლი და წყალი, ღვთის გულისათვის, ერთი ბოთლი წყალი!

მე პირადად არასოდეს მინახავს იმდენი ფოტორეპორტიორი, „ლუზზე" ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებების გამოსვლას რომ იღებდნენ ორი საგანგებოდ მოწყობილი ფიცარნაგიდან.

მაგრამ ეს იქით იყოს და, უეფას ერთ-ორ მუშაკთან წაჭორავების შემდეგ, ორგანიზაციაზე წუწუნის გარდა, სასიხარულო და იმედისმომცემი რამეებიც გაისმის, ვთქვათ, ის, რომ ჯერჯერობით არანაირი ჩხუბი და აყალმაყალი არ მომხდარა. ჩემი მოკლე ჭკუით, ასეთი რამ არც მოხდება და ვერტმფრენები სულ ტყუილად დატრიალებენ სტადიონების თავზე. არც ოსამა ბინ ლადენი გამოგზავნის აქ ხალხს და არც ვინმე შეშლილი წაუკიდებს ცეცხლს რამეს.

ეგებ ეს ნამეტანი ოპტიმისტური პროგნოზი იყოს და, თქვენ რომ ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, უკვე დარღვეული და გადახეული თბილისური ტოტალიზატორის ქვითარივით, მაგრამ სიცხეში ჩხუბი ძნელია. მეტი რაღა გინდა, ინგლისმა წააგო და იმის მაგივრად, რომ მის ფანებს ეჩხუბათ, ტაქსების გასაჩერებლად დარბოდნენ მთელს ლისაბონში. დათვრნენ კია, მაგრამ არ იჩხუბეს.

თავად პორტუგალიის იერი არ იძლევა მწვავე კონფლიქტების გახურების საშუალებას. სიმწვავე მოედანზე რჩება. გულშემატკივრები ამ სამ დღეს ყველგან და დღეღამის ყოველ საათს მშვიდობიანად გამოიყურებიან. საერთოდ, პორტუგალიის მასპინძლობას ერთი უცნაურობაც ახლავს, აქ, ცხადია, არეკლამებენ ქვეყნის ნაკრებს, მაგრამ ამ სამ დღეში თავისი მასპინძლობის და განსაკუთრებულობის თავსმოხვევა არ უცდიათ. ამბობენ, პორტუგალიელები მოხერხებული ხალხიაო, მაგრამ მე არ მჯერა, რომ მათ ნაკრებს რაღაც განსაკუთრებული, კორეული პირობები ჰქონდეს აქ. ჯერჯერობით ეს არ ჩანს. თუ გამოჩნდება, დავინახავთ.

ეგებ მომიტევოთ ეს ზედმეტად ოპტიმისტური ნათქვამები, მაგრამ ასე კი გამოდის და უცაბედი და წამიერი თვისება ამ საქმეს არ ეტყობა. ხომ ეტყობა ხოლმე საქმეს?! ამას კი არ ეტყობა.

ჯერჯერობით ფეხბურთიც კარგად მიდის და მსაჯებიც ლიბერალურნი არიან. თუნდაც მარკუს მერკის ორი საპენალტე ყვითელი გაიხსენეთ.

ამ საათისთვის ძალიან აწეულია დანიის ნაკრების აქციები, თუმცა, გრძელ გზაზე დენის რომედალს და მის ამხანაგებს გაუჭირდებათ ამდენი წყლის სმა და ასე თამაში. ყბადაღებული უეინ რუნის შეცვლაც მის დაღლილობას და სიცხისგან გათანგვას მიეწერა. თუმცა, როგორც ინგლისელი ჟურნალისტები ენამწარობდნენ, ბუღასავით ყმაწვილს, ვისაც ამ ჩემპიონატის შემდეგ უკვე უწინასწარმეტყველებენ ევროპელ ვარსკვლავთა პირველ ათეულში მოხვედრას, დაღლილობის გამოხატვის მეტად უცნაური ხერხი სცოდნია — სირბილი. მისი უცხოტომელი მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი კი ისევე ლაპარაკობს პორტუგალიურად, როგორც ინგლისურად და იტალიურად, ანდა რაღა გავაგრძელოთ, შვედურად და მისი მთავარი ღირსებაც მხოლოდ მისი ინტელექტია. ამ ინტელექტმა მოახერხებინა მას საოცარი ფრაზა, რომელიც აქ უკლებლივ ყველამ აიტაცა და რომელიც ვერ თქვა შაბათ საღამოს ლუიშ ფელიპე სკოლარიმ: თუ წაგებაა, მირჩევნია, პირველი თამაში წავაგო, ვიდრე მეორე, მესამე, ან სულაც მეოთხე და ფინალში მოვუგო ფრანგებს.

ამ წინადადებას ყველა მწვრთნელი მოაწერდა ხელს, რა თქმა უნდა, გეორგი იარცევის გარდა, რომელიც ხვალ მეორე თამაშსაც წააგებს, ვინაიდან „ლუზი", პორტუგალიის ფეხბურთის გული ელის თავის გამწარებულ შვილებს, რომლებიც ხვალ სწორედ რომ რუსებს ეთამაშებიან.

დღეს „ბენფიკას" სტადიონზე შეკრებილი ხალხი პორტუელებს დანახებს, როგორ უნდა უქომაგო ნაკრებს და როგორ ურჩევნია სელესაოს სწორედაც რომ „ლუზზე" თამაში.

არის ეს ჩუმი ანტაგონიზმი პორტუგალიის ორი მთავარი საფეხბურთო ქალაქის გულშემატკივართა შორის და რატომ დავმალოთ?! ჩვენ მათ გახსნა ვაჩუქეთ, მათ კი ვერ გაბედეს და პირველი გამარჯვების პატივი ჩვენ გადმოგვაბარეს. ასეთები არიან, მხოლოდ თავიანთი თეთრ-ლურჯი დროშების ქვეშ მოეწყობიან ხოლმე მწყობრად.

პურტუგაააალ!

პორტუგალიური ამინდი ნამდვილად იმოქმედებს ჩემპიონატზე. ეს ჯერ არ ჩანს, მაგრამ გაივლის კვირა და ამ მხრივ თვალშისაცემი რაღაცეები მოხდება.

ახლა პორტუში დღის პირველი საათია და 36 გრადუსი სიცხე. ვისაც სიგრილე უნდა, შუაღამეს უნდა დაელოდოს. მანამდე კი დურუსპირა მოედნებზე, მზეში, ჯიუტად მღერიან ნარინჯისფერი ასეულები.

ფორთოხალი იმიტომ ჰქვია ფორთოხალს, რომ ბევრგან პორტუგალიიდან შევიდა. პორტოგალ-ფორთოხალ, ასეც ამბობენ. თუმცა, დღევანდელი ფორთოხალი პორტუში ჰოლანდიურია. პორტუგალიური ფორთოხალი მხოლოდ კაფეებშია, სადაც ნელა გამოგიწურავენ და ყინულთან ერთად მოგაწვდიან. რაღაცით ხომ უნდა ებრძოლო სიცხეს ამ მშვენიერ ქალაქში.

წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი...

სხვა ყველაფერი ბრწყინვალედაა. პირველ რიგში კი მისი უდიდებულესობა ევროპული ფეხბურთი.

დანია: მიდი და ეტოქე

სამი ქართული სიტყვა ჯუთხურის ალამთან

ზურაბ მეძველია გიმარაეშიდან

ფასდაკლება — არც ვიცი, რატომ, მაგრამ ტელევიზორს ხანდახან ვუყურებ და ვიცი, რომ თბილისის „დანიურ სახლში“ მუდმივად ფასდაკლებაა. თუ ასე გაგრძელდა, იქიდან რაღაცის წამოსაღებად მალე ფულს აქეთ გადაგვიხდიან. მოკლედ, რეკლამის მიხედვით, კაი დალოცვილი ადგილი უნდა იყოს — ჩამოვალ და აუცილებლად მივაკითხავ.

მანამდე კი, ერთ მზიან დღეს სხვა დანიური სახლი მოვინახულე. მართალია, ამ ალაგს „პორტუგალიელი ერის დაბადების ადგილს“ უწოდებენ (აქ გამოცხადდა კასტილიისა და ლეონის სამეფოსგან ჩრდილო პორტუგალიის გამოყოფა), თუმც ორშაბათს, 2004 წლის 14 ივნისს, ის ვიკინგთა ხელშია. ამ ქალაქს გიმარაეში ჰქვია და „სარბიელის“ შტაბ-ბინიდან ანუ პორტუდან 50 კილომეტრი აშორებს.

ერთი დღე, როცა შეიძლება აშენდე. თუ არ აშენდები, იმდენს მაინც იშოვი, წლის ბოლომდე ცხოვრების პორტუგალიურ ანუ სანახევროდ მთვლემარე ტემპს უშფოთველად მიჰყვე. ამიტომ დარბის ასე უჩვეულოდ 160-ათასიანი მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც რაღაცის გაყიდვა და ვიღაცის მომსახურება შეუძლია.

კაფე-ბარები გადაჭედილია, ქუჩაში ათას რამეს ჰყიდიან. ერთია, ჩვენებური „დანიური სახლისგან“ განსხვავებით, ფასდაკლებაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია.

პირიქით — ყველაფრის ფასი, სულ მცირე, გაორმაგებულია: იციან, მუშტარი მანამ არ გამოილევა, სანამ მთელი გიმარაეშის ლუდი არ დაილევა. ერთი შეფერხებაა — ბევრ მაღაზიასა და რესტორანში ველარ (გაფუჭდა, ვერ გაუძლო) ან აღარ (სადაა მაგის დრო, ბატონო, ნაღდი მოიტა) იღებენ საკრედიტო ბარათებს. მე პრობლემა არ მაქვს, თითო დანიელი კი აქ იმდენს ხარჯავს, ფული ტომრით უნდა ჰქონდეს წამოღებული.

თამაშამდე ორი საათით ადრე რესტორანში შევდივარ. ძირითადად შუახნის დანიელები სხედან. ოფიციანტები ისე დაჰქრიან, ჯეინ ტორვილი და კრისტოფერ დინი მიმიქარავს (ძალიან უჩვეულო რამ პორტუგალიისთვის). „ჩემი ოფიციანტი“ მენიუს მოარბენინებს და ცხვირწინ მიშლის — ბიფ? ჰო, ეგ არის და ერთიც დიდი კოკა. რა ვიცი, პორტუში ფანტასტიკურად ამზადებენ და ალბათ აქაც გაამართლებს. სანამ და რამე, გვერდით მჯდომი დანიელი ბიძა ჩემს სააკრედიტაციო ბარათს ათვალიერებს.

ესპანელი ჟურნალისტი ხართ? (დანიელს არც აქამდე ვგავდი, მაგრამ ოთხ დღეში ლამის ლილიან ტურამის ფერი გავხდი). არა, ქართველი. აააა, ვიცი — და როცა, სულ მცირე, ვარდების ხსენებას ველოდი — თქვენს ხელბურთელებს ვიცნობ, ჩვენს ნაკრებთან ითამაშეს რამდენჯერმეო. ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირის საქართველოდან ხართ? — აზუსტებს და დასტურის მერე ამბობს — მთავარია, რომ ყოფილი! ჯიგარი ბიძაა, ესმის საგანი: აბა, მოქმედი ესესერის დროს ამ მართლაც მზიურ ქვეყანაში ვინ გამიშვებდა?

არც იმათ გაუშვებდნენ, იტალიის გულშემატკივრებს (ჰო, დანია მრისხანე იტალიას ეთამაშებოდა, მაგრამ ქალაქშიც, ტრიბუნებზეც და როგორც აღმოჩნდა, მოედანზეც, ამის აღმოჩენა არცთუ იოლი საქმე იყო). სანამ ჟურნალისტებს გვჩხრეკდნენ (გასულ ჩემპიონატებზე ეს არასდროს მომხდარა, მაგრამ მაშინ ბინ ლადენი „არსენალის“ ერთი ჩვეულებრივი ფანი იყო), ვხედავ, ტიფოზთა 5-კაციანი ჯგუფი შედის სტადიონზე, „იტალია, იტალიას“ გაჰყვირის და... საქართველოს დროშას აფრიალებს. თამაშისას დავაკვირდი (იტალიელთათვის განკუთვნილი ტრიბუნა მესამედზე ძლივს შეივსო და არ გამჭირვებია) — კუთხურის ალამთან გადმოკიდეს ეს ჩვენი დროშა, იქვე კი ქართული ტრანსპარანტია, ოღონდ მოპირდაპირე ტრიბუნიდან სამი სიტყვიდან ოდენ ბოლოს წაკითხვა მოვახერხე — რუსთავი.

ისე, თამაში გამოდგა, ჭოგრიტის საშოვნელად ნამდვილად ვერ მოიცლიდა კაცი.

დანიელებს ერთობ ღირსეული გუნდი ჰყოლიათ და ვგონებ, ყოველ 5 წუთში მოედნის კიდესთან წყლის დასალევად მირბენაში დახარჯული ძალებიც რომ იტალიელთა დაცვის დასაძლევად მიემართათ, ქულას არ იკმარებდნენ. განსაკუთრებით დენის რომედალი შემეცოდა — 33-გრადუსიანმა სიცხემ ისე შეაწუხა, ლამის გასატანი გახდა. სამაგიეროდ, დანიელ გულშემატკივართა დიდი არმია არ დაღლილა და ისედაც გადასარევი მატჩი ერთიორად გაალამაზა.

თამაშის მერე „რუსთაველი იტალიელ-ქართველების“ საძებრად გავედი, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ, თბილისის „დინამოს“ მმართველი და ამ მატჩის დირექტორი დავით პეტრიაშვილი მხვდება. ორ რამეზე ვთანხმდებით: ევრო 2004-ის ადგილობრივი ორგანიზაცია იდეალურისგან საკმაოდ შორსაა და მეორე — ეს ჩვენი მეტოქე დანია ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია. პირველი მალევე დადასტურდა, როცა პრესისთვის განკუთვნილი უფასო ავტობუსი პორტუში ნახევარი საათის დაგვიანებით გავიდა. სამაგიეროდ, უფასოა და დაზოგილი თანხით ემანდ დანიის ჩემპიონობის აღსანიშნავ მორიგ ფასდაკლებაზე თბილისურ „დანიურ სახლში“ რამე შევიძინო.



დანიელი მცველები, დანიელი მეკარე, დანიელი ქომაგები... მოკლედ, დანიური სახლი

იტალიის ნაკრები წლობით დამკვიდრებულ ტრადიციას არ ღალატობს — „სკუადრა აზურა“ უკვე 2004-ის პირველ მატჩში საკმაოდ უფერულად ითამაშა და დანიასთან უგოლო ფრეს დასჯერდა. იტალიელ ტუსელი მაურო კამორანეზი, რომელსაც ჯოვანი ტრაპატონიმ ძირითადში ანდო ადგილი, ესპანურ „ლიბრედირეკტოს“ ესაუბრა.

მაურო კამორანეზის ჩრდილოეთიდან დაუბერა

— დანიის ნაკრებთან იტალია უგოლო ფრეს დასჯერდა...

— დანიელებმა ჩვენზე კარგად ითამაშეს და ფრე ურიგო შედეგად არ უნდა ჩავთვალოთ.

— ოლსენის შეგირდებმა გაგაკვირვეს?

— არ ველოდი ასე კარგად თუ ითამაშებდნენ, თუმც ერთიცაა, ჩვენ ვერ ვითამაშეთ გამართულად.

— ნაკრების სადებიუტო მატჩში ძირითად შემადგენლობაში მოხვდით. თქვენი თამაშით კმაყოფილი ხართ?

— საერთო ჯამში ჩემს თამაშს დადებითად შევაფასებდი. იშვიათად ვცდებოდი, რაც კმაყოფილების საბაბს მაძლევს.

— C ჯგუფში მოვლენები როგორ წარიმართება?

— სენსაციურს არაფერს ველი. იტალიისთვის ჯგუფური ეტაპი ალბათ გართულდება, რადგან პირველი მატჩის ფრედ დამთავრებას ყოველთვის სიძნელეები მოსდევს.

— ჯგუფში დანიაზე ძლიერ მეტოქეს ხედავთ?

— ჩემი აზრით შვედეთი. საქმე ისაა, რომ შვედებს ორი-სამი ისეთი ფეხბურთელი ჰყავთ, რომელთაც კომბინაციური თამაშის გარდა გოლის გატანაც ემარჯვებათ.

— ტოტი, დელ პიერო და ვიერი, მოიერიშეთა მძლავრი ტრიო გყავთ, როგორ ფიქრობთ, თამაშის ხარისხის ოდნავ გაუმჯობესებას ისინიც ხომ არ საჭიროებენ?

— აუცილებლად. დანიასთან მატჩში გააზრებული და წინასწარ მოფიქრებული კომბინაცია არ შეგვიქმნია. ასე კი მეტოქის მცველებს მოქმედება უადვილდებათ.

— თუმცა საგოლე მომენტები დანიაზე მეტი გქონდათ...

— კი, მაგრამ, ჩემი აზრით, უსამართლოა ანგარიშში დაწინაურება მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის შეკარეს შემთხვევით მიაკითხავ. ვიერის იმ ეპიზოდში რომ გაეტანა, მთელი იტალია, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩებოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. თამაში უნდა დავხვეწოთ, სხვანაირად ევროპის ჩემპიონატს ვერ მოვიგებთ.

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

EURONEWS

ერთიანი ბიბლიოთეკა

ტოტიჯანას ქოშები

იცით, ფრანჩესკო ტოტიმ რა თქვა? დანიასთან ცუდად.რომ ვითამაშე, ბუცების ბრალი იყოო



„იყო მომენტები, როდესაც თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ფეხშიშველა ცხელ ქვიშაზე ვმდგარიყავი — თქვა იტალიელ გულშემატკივართა იმედმა — ასეთი სისულელე ადრე არასდროს მომსვლია, არადა, თითო ფეხზე თითო წყლული მაქვს და ცუდმა ფეხსაცმელმა შეიძლება ძალიან სერიოზული პრობლემა შემიქმნას. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია და პრობლემაც აუცილებლად უნდა გადაიჭრას“.

საინტერესოა, რომ ტოტის „ნაიკთან“ ახალი სპონსორული ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და ამ ხელშეკრულების გამო სპორტული ფეხსაცმლის არჩევანი შეზღუდული აქვს. ერთი სიტყვით, რომაელი „ნაიკის“ ახალ ბუცებს უკეთებს რეკლამას, მაგრამ ახლა რეკლამა გამოსდის თუ ანტირეკლამა, ეს უკვე საკითხავია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტოტი „ნაიკის“ ამ ახალმა ფეხსაცმელმა თამაშამდე ვარჯიშზეც გააწვალა, ხოლო შეხვედრის 30-ე წუთზე იგი უბრალოდ ადგა და ბუცები გამოიცვალა, მაგრამ ვერ გეტყვით, რა ჩაცვა, ისეთივე „ნაიკი“ თუ ძველი რამ. ყოველ შემთხვევაში, თამაში მაინც 0:0 დასრულდა.

იტალიელ ჟურნალისტთა აზრით, იმედი გააცრუა „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა ალესანდრო დელ პიერომაც, რომელიც მეორე ტაიმის შუაში ჯოვანი ტრაპატონიმ ანტონიო კასანოთი შეცვალა.

„მე შემიძლია უკეთაც მეთამაშა, მაგრამ შემცვალეს... არა უშავს, ამ შეცვლის გამო არ ვჩივივარ, ჩვენ არ უნდა დავნებდეთ, რადგან ეჭვი არ მეპარება, რომ საქმის გამოსწორება შეგვიძლია. მთავარია, პრობლემებს თავისი სახელი დავარქვათ, სწორად ამოვიცნოთ და მუხლჩაუხრელი მუშაობა განვაგრძოთ“ — თქვა დელ პიერომ.

პაპუნა კედია

eurofan2004@hotmail.com

დანაპირებს, მოგეხსენებათ, შესრულება უნდა, ჩვენ კი დაგპირდით, რომ თქვენს წერილებს გაზეთში გავარჩევდით. თუ არ გახსოვთ, ან 12 ივნისის „სარბიელი“ არ წაგიკითხავთ, მოგახსენებთ, რომ შეგიძლიათ ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით წერილები გამოგვიგზავნოთ. ჩვენ წავიკითხავთ და მერე დავწერთ, ვინ რა მოგვწერა.

მაშ ასე, დავიწყოთ. ვინმე kotiko გვწერს, რომ ამ ევროპაზე ბლომად ფულის მოგება უნდოდა, მაგრამ პორტუგალიაზე ბლომადვე წააგო და ახლა გასამაზი ფული აღარ აქვს.

kotiko-ს თანავუგრძნობთ და მორალურად მის გვერდით ვდგევართ, მაგრამ ფინანსურად, ცხადია, ვერ დავეხმარებით.

dato78 კი გვწერს, რომ დევიდ ბექემი მაგარი... აი, ჩვენ რომ ვიცით, ისაა. თქვენი ნებართვით, ამ მოსაზრებას უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან რომ დავეთანხმო, ბექემისტები მცემენ, რომ არ დავეთანხმო, dato78 და მისი მომხრეები.

მოგვიანებით, dato78-მა კიდევ ერთი წერილი მოგვწერა, რომელშიც ამტკიცებს, ბექემის გარდა ალესანდრო დელ პიეროც ეგეთიაო.

და რაკი ბექემის თაყვანისმცემლების გარდა დელ პიეროს თაყვანისმცემლებისაც მეშინია, კომენტარისგან თავს ამჯერადაც შევიკავებ.

t.dvalishvili კი უფრო შორს წავიდა და მთლიანად იტალიის ნაკრებს გადასწვდა, ეგენი ვერც შვედებს მოუგებენ და ბულგარეთს თუ უნდათ უქნანო. მოკლედ, ჯგუფიდან ვერ გავლენო.

ვერ გავლენ და ნუ გავლენ. სამაგიეროდ, ყველაზე მეტი ბრიოლინი უსვიათ თავებზე.

berishvili80 ამტკიცებს, ყველა თამაშის შედეგი გავარტყიო.

berishvili80-ო, დაეხმარე kotiko-ს! თუმცა ბუნებით ეჭვიანი ვარ და ვიტყვი: თამაში რომ დამთავრდება და მერე იტყვი, ვიცოდი ეგრე რომ დამთავრდებოდაო, ეგრე ყველა მაგარია. თამაშამდე მოიწერე რას ფიქრობ და თუ გაარტყამ, მაგარი მაშინ იქნები.

tata191 კი დაღონებული გვწერს, დანიას რა მაგარი მეკარე ყოლიაო. ალბათ მიხვდით, დაღონებული რატომაა — ბრიოლინიანი ბიჭები მოწონს.

მოკლედ, ჯერჯერობით ეს იყო. თუ არ დაგეზარებათ, მოიწერეთ:

eurofan2004@hotmail.com

ავი სიტყვა

ზიზუ, შე თათარო!

მოკლეფეხება ციცფერი ბიჭი

ბატონო პოლ სქოულზ! ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწითურო ნახევარმცველო! როდესაც ძია პირესი გეუბნება მოგიგებო, ესე იგი, მოგიგებს!

თამაშის წინა დღეს რომ ამბობდი — ფრანგები ტრაბახობენ და არ იციან, რომ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო — ნუთუ ამოდენა გამოცდილების ადამიანმა, მოედანზე წლები რომ გაგიტარებია და ათასი ფეხბურთელი გადაგყრია საკუთარი ბუცებით გადახნულ-გადმოხნულ მინდვრებზე, არ იცი, რომ ფეხბურთში გადამწყვეტი ნიჭია? ახლა, შეიძლება ინგლისურ ფეხბურთში არ არის ეს ნიჭი გადამწყვეტი, მაგრამ იმ შენი ლუდით გაბრუებული ღიპიანი თანამემამულე ფანებისგან განსხვავებით, გარეთაც ხომ გაქვს რაღაც ნანახი. მაგრამ კარგი, შენზე დიდ დროს ვერ დავხარჯავ, რადგან არ ხარ ამდენად მნიშვნელოვანი, ბექემს და ვიქტორიას კიდევ მოკითხვა გადაეცი. მე დღეს სხვა საკითხები მაქვს მოსაგვარებელი. კერძოდ: ტყუილს და დელ პიეროს მოკლე ფეხები აქვთ! ვისაც არ სჯერა, ვთხოვ, „იუვენტუსისა“ და „სკუადრა აძურას“ ცრუ ვარსკვლავს კარიერის დაისისას მაინც დააკვირდეს. აი, ასე!

ვინც ბატონი ალესანდრო დელ პიეროს კარიერას იცნობს და მიკერძოებული არ არის, დამეთანხმება, რომ მას მეტოქისგან გაქცევისთვის აუცილებელი ფართო ნაბიჯი უბრალოდ არ აქვს, რადგან ბუნებას „მოჭრით“ ჰყავს გაჩენილი. მეტიც, მას არც მასა მოსდევს მეტოქის ათლეტი მცველის ორთაბრძოლას რომ გაუძლოს და საბოლოოდ ვიღებთ ასეთ სურათს: პატარა ბიჭი იკარგება ცისფერპერანგა. მიიღებს თავის ხელა ბურთს, თითქოს ტრიალდება, მაგრამ დიდ ნაბიჯს ვერ დგამს, ამ დროს მოწინააღმდეგეც ეწევა, ეჯახება და ეჰე, ეძებე შენი ალექსა ტრიბუნაზე, მეათედან მეოცე რიგებამდე მონაკვეთში.

და კიდევ ერთი თვისება, რომლითაც ალიკას სხვებისგან გამოარჩევ: რაც უფრო პრინციპულია თამაში, მით უფრო უსუსურია ჩვენი ლექსო. ზიდანზე დიდი აზრის ნამდვილად არ ვარ და ამაზე ლაპარაკს ჩემპიონატის განმავლობაში კიდევ მოვასწრებთ, მაგრამ მგ თათარს ერთს ნამდვილად ვერ წაართმევ: თუ ფინალი ან რამე ეგეთია ან თუ უნიჭოები დაიქადნიან მოვუგებთო, ადგება და თუნდაც 92-ე წუთი იყოს, გოლს შეაგდებს და თუ საჭიროა, ორსაც, რითაც ნამდვილად ვერ შევადარებ „პიკოლო ბიჭს“.

და საერთოდ, იტალიის ნაკრებმა დანიასთან თამაშით, რისი დამტკიცებაც ყოველთვის მინდოდა, თავისი ხელით დაამტკიცა: ერთადერთი კაცი, რომელიც „სკუადრა აძურაში“ ჩემს დიდ პატივისცემას იმსახურებს (ისევე როგორც ბექემი ინგლისში) არის ტოტი — მას ჩინებული ქალი ჰყავს. ყოჩაღ ფრანჩესკო! რამეში ხომ უნდა ვარგოდეს კაცი და შენ აგერ, მექალთანეობაში გამოდექი.

ხოლო ის, რომ ფეხბურთს ყარტა-ყურტა გუნდები არ უნდა თამაშობდნენ (ქართლ-კახეთი, იმერეთის ნაკრებიც ზედ მიათვალეთ) ძალიან თვალნათლივ გვაჩვენა ხორვატიამ იმ ეპიზოდში, როდესაც ხუთნი ერთ შვეიცარიელ მეკარესთან პირისპირ გავიდნენ და ნაცვლად იმისა, რომ ბურთი ტაკოთი გაეტანათ, ერთი შტანგა ამოიჩემეს და იმას ურტყეს.

ეჰ, ზიდან, შე თათარო, მთელი თამაში არაფერი გიქნია და ფეხის ორი მოქნევა არ ჩაგეთვალა პელეობად?! დაიცა, შენც მოგწვდები, მანამდე კი დაწყნარდით და ნუ ენდობით უნიჭოებს.

EURONEWS

ევროპული ბიბლიოთეკა

ანომალია

ინგლისელები გარეთ ჯერ წყნარად არიან, შინ სახლი დაანგრიეს

ინგლისური პრესა დიდ ყურადღებას უთმობს თანამემამულე ქომაგების ქცევას და საინტერესო დასკვნამდე მიდის: ფანებმა სამშობლოსა და პორტუგალიაში ორი საპირისპირო სახე გამოაჩინეს



სამშობლოში ინგლისელი გიჟმაჯები ცხოველებივით მოქცეულან, ქუჩაში მანქანები უყირავებიათ, მაღაზიების ლამაზ-ლამაზი ვიტრინები ჩაულეწიათ და მშობლიურ პოლიციასთანაც უჭხუბიათ, ხოლო პორტუგალიაში კარგი ყოფაქცევისთვის ხუთიანი დაუმსახურებიათ და ღამეები მშვიდად გაუთენებიათ.

გაზეთები იტყობინებიან, რომ საფრანგეთთან დამარცხების შემდეგ ინგლისის ბევრი ქალაქი საფეხბურთო ხულიგნობების ყველაზე უარესი სცენების მოწმე გახდა. ამ ქალაქებში პირველ სართულზე მცხოვრებ ოჯახებს საშინელი შიში უჭამიათ, ხოლო ქვეყნის პოლიციას „დაუმშვიდებია", ჯერ სადა ხართ, ხუთშაბათს ნახეთ, შვეიცარიასთან თამაშის შემდეგ რა ცოდვის ტრიალი იქნებაო.

ყველაზე საშინელი ამბები ლონდონის გვერდით, ქალაქ კროიდონში დატრიალებულა, სადაც თხუთმეტი პოლიციელი დაზიანდა. როგორც კი პორტუგალიიდან მსაჯმა სასტვენის საფინალო ხმა მოგვასმენინა, კროიდონელ ფანობას ერთი დაუხუვლია და ქალაქს შესევია. ყველაზე შავ დღეში, ბუნებრივია, პოლიციელები ჩავარდებოდნენ, რომლებიც სამსახურეობრივი საქმის შესრულებას ცდილობდნენ. ერთს ხელი მაჯაში გაბზარვია.

კროიდონის პოლიციის პრეს-მოხელის, ნიკ ჯაპის განცხადებით, არეულობებში 400 მთვრალი ადამიანი მონაწილეობდა.

საბაზრო ქალაქ ბოსტონში, რომელიც დიდი ამერიკული ქალაქის სეხნიაა, ზარალმა 1 მილიონ გირვანქას მიაღწია.

ორი პოლიციის მანქანა ცეცხლში დაწვეს, დაარბიეს მაღაზია და ბევრი სხვა რამ. ასეთივე ამბები იყო ბირმინგემსა და სხვა დიდ თუ პატარა ქალაქებშიც, რომელთა ჩამოთვლას აქ აზრი არ აქვს.

თუმცა ერთს კი მოგახსენებთ: თვით საუნივერსიტეტო ქალაქ კემბრიჯშიც კი გამოვარდა 50 კაციანი ჯგუფი, რომელმაც გვარიანი საზიზღრობები ჩაიდინა.

და ამ დროს...

„ინგლისელი ქომაგები ფანტასტიკურად იქცეოდნენ. ინგლისი აშკარად იმსახურებს ფეარ პლეის პრიზს. მწამს, ეს სხვათათვის მაგალითად უნდა გამოდგეს" — განაცხადა ალეშანდრე კომბრამ ლისაბონის პოლიციიდან, ხოლო ინგლისის მთავრობაში მავანთ ამ 40 ათასი კაცის ოფიციალური შექება გადაწყვიტეს.

პაპუნა კედია

მოსტოვოიმ ხიდი დაწვა

რუსებმა ჟურნალისტები გადააგდეს

ალექსანდრ მოსტოვოი ნაკრებიდან მოკვეთეს. „სელტას" ლეგიონერი მწვრთნელმა დაითხოვა, იარცევს ფეხბურთელის ნალაქლაქები არ მოწონებია.

რუსთა უხუცესმა მოთამაშემ ესპანურ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, იარცევის ვარჯიშებმა გუნდი „გადაწვა" და პირველი მატჩი ამიტომ წავაგეთო.

მოსტოვოის ნათქვამი გაზეთში რომ ნახეს, ჯერ შეცდომა ეგონათ, თუმც გადამოწმების შემდეგ დადასტურდა და ფეხბურთელი გუნდს ჩამოაშორეს.

რუსთა ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა ალექსანდრ ჩერნოვმა განმარტა: „ეს გადაწყვეტილება მწვრთნელებმა ბაზაზე შეკრებისას ერთობლივად მიიღეს, რადგან მოსტოვოის განცხადება არაეთიკურად მიიჩნიეს".

თავად ფეხბურთელმა მომხდარის შესახებ „სოვეტსკი სპორტის" კორესპოდენტს მოკლედ უთხრა: „ამის თაობაზე მთავარ მწვრთნელს მიაკითხეთ. ამჟამად ჩვენ ერთმანეთს არ ველაპარაკებით".



ახლა ალექსანდრ მოსტოვოის, სადაც უნდა იქ იბანავებს

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა კი ესპანეთთან მარცხზე საკუთარი აზრი გამოთქვა: „გუნდი გადაღლილი რომ ყოფილიყო, ყველა გაჩერდებოდა, მაგრამ უმეტესობამ მთელი მატჩის განმავლობაში კარგად იმუშავა, ორი-სამი კაცი კი დასეირნობდა. ეს მწვრთნელის ბრალი არაა. მე ყველა ვარჯიშს დავესწარი და გარწმუნებთ, ზედმეტად არავინ დაუტვირთავთ".

გუშინწინ რუსებს ტრადიციული პრესკონფერენცია უნდა გაემართათ, მაგრამ ორგანიზატორებმა ვერავის მიაგნეს. კოლოსკოვი, მისი მოადგილე ტუკმანოვი და გენერალური მენეჯერი სადღაც გაქრნენ, ისევე, როგორც მწვრთნელები და ფეხბურთელები. ჟურნალისტები ერთი საათი ელოდნენ მათ, მაგრამ ამაოდ.

განსაკუთრებით პორტუგალიელები გაბრაზდნენ, რადგან რუსეთი მათი ნაკრების მეტოქეა და ახალი ამბების გაგება სურდათ. მასპინძლებმა პრესკონფერენციის ჩაშლისთვის შესაძლოა, უეფაში საჩივარი აფრინონ.

ალექსანდრ მოსტოვოისთან ერთად პორტუგალიას ოთხი რუსი ფანიც დატოვებს, ხოლო ორს 1800 ევრო ჯარიმა ან სამთვიანი პატიმრობა ელის. გალეშილმა ქომაგებმა პოლიციელებთან ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს და მათი ავტომობილი დააზიანეს.

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისელი ნიკი ბათისთვის ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა. მუხლის რენტგენმა მყესის სერიოზული დაზიანება გამოავლინა

ერიკსონმა ბათი დაკარგა

„იუნაიტედის" ნახევარმცველმა გუშინწინ ვარჯიში ვერ შეძლო და ექიმებისკენ გასწია, სადაც დადასტურდა კიდეც სვენ გორან ერიკსონის ყველაზე ცუდი შიშები. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-მდივნის განცხადებით, ასეთი ტრავმის გამო ფეხბურთელები, როგორც წესი, ერთ თვეს მკურნალობენ ხოლმე და საქმეს ისეთი პირი უჭანს, რომ ბათი დღეს-ხვალ შინისკენ გაემგზავრება. მეორე მხრივ, ინგლისელთა დელეგაციამ უეფაში თხოვნა გააგზავნა, ნება დაგვრთეთ, ბათი ბიჭებთან დარჩესო.

პაპუნა კედია

ოლსენს მგლოვიარე ვიკინგი შემმატა

იესპერ გრონკიაერი გუშინ ლისაბონში ჩავიდა. „ჩელსის" ლეგიონერს გასულ ხუთშაბათს დედა გარდაეცვალა და პორტუგალიაში გუნდთან ერთად ამიტომ ვერ წავიდა.

ლისაბონიდან 250 კილომეტრით მოშორებულ ალგავრეში, ბაზაზე მისულ ფეხბურთელს მორტენ ოლსენი დახვდა. „ნაკრების კარი მისთვის ყოველთვის ღიაა. იესპერი მზადაა სავარჯიშოდ და სათამაშოდ. ჩვენ ძალიან გვეამა, რომ მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, მან აქ ყოფნა ისურვა. ყველა გვერდით დავუდგებით, რათა ტკივილი შევუმსუბუქოთ" — თქვა დანიელთა მწვრთნელმა. შესაძლოა გრონკიაერი ზეგ ბულგარეთთან მატჩში ძირითად შემადგენლობაშიც აღმოჩნდეს.

ვაჟა ხუციშვილი

ბერძნული ცეცხლი გვერდიდან გატყდება

A ჯგუფი. II ტური. დღეს

პორტუ. ბესა. 21.00

საბერძნეთი — ესპანეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ნიკოპოლიდისი; სეიტარიდისი, დელასი, კაპსისი, ფისასი; იანაკოპულოსი, ბასინასი, კარაგუნესი, ცარტასი; ხარისტიასი, ვრიზასი (ან პაპადოპულოსი)

კასილიასი; პუიოლი, ი. ელგერა, მარჩენა, რაულ ბრავო; ეჩებერია, ხაბი ალონსო, ალბელდა, ვისენტე; რაული, მორიენტესი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ხაბი ალონსო

დიახ, ესპანელებს სისწრაფის, ტექნიკის და გამოცდილების წყალობით ჯგუფიდან გასვლა დღესვე შეუძლიათ. თუ ისინი ბერძნებს დაამარცხებენ, ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილი იქნება და რამდენადაც მათი ბანაკიდან გვატყობინებენ, მეტოქესა და მასთან ბრძოლას თითოეული ესპანელი მართლაც დიდი სერიოზულობით უყურებს. ერთი სიტყვით, ესპანეთი ოტო რეჰაგელის ფეხბურთელთა მიერ პორტუგალიელების სენსაციურმა დამარცხებამ არც დააშინა და არც აამჩატა, პირიქით, საქმიანად განაწყო. აი, რას ამბობენ ფეხბურთელები:

„ბერძნები ძალიან კარგად იცავენ თავს და მეტისმეტად სწრაფ კონტრშეტევებზე გადადიან — ფიქრობს ხოსება ეჩებერია — მათ წინააღმდეგ რამეს რომ გავხდეთ, მოედნის შუაში ძალიან ჩქარი პასები უნდა გადავწოდოთ ერთმანეთს და საერთოდაც, საკუთარ სტილს უნდა ვუერთგულოთ, ანუ ბურთი ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ. თუ ასე მოვიქცევით, ეჭვი არ მეპარება, საგოლე მომენტებს შევქმნით“.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთსაც და საბერძნეთსაც დაშავებული მოთამაშეები არ ჰყავთ და, შესაბამისად, სრულყოფილი თამაშის ყველა წინაპირობა აქვთ. ესპანელები, სავარაუდოდ, მართლაც უერთგულებენ იმ სტილს, რომლითაც პირველ ტურში რუსებს აჯობეს 1:0, ხოლო ბერძნები იმ კონტრშეტევის იმედად იქნებიან, ზემოთ ნახსენები სენსაცია რომ ჩაადენინა.

ორი თამაშიდან ექვსი ქულის მოპოვების შანსი ესპანეთს კიდევ იმიტომაც აქვს, რომ აქეთ-იქით ფლანგებზე ვისენტე და ხოსება ეჩებერია ჰყავს დიდებულ ფორმაში.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია სიმშვიდე. შეუძლებელია ბერძნების დაცვა ხუთ წუთში გავტეხოთ და ამიტომ სულსწრაფობამ არ უნდა დაგვღუპოს“ — განაგრძობს ეჩებერია, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალიან კარგად ესმის, რომ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ბერძნების კედელია. როგორ, რა გზით, ქომაგს არ აინტერესებს. პორტუგალია ჯერ ჯგუფიდან უნდა გავიდეს, მერე კი დანარჩენზეც იფიქროს.

ზემოთ ნახსენები სიმაო საბროსა დღეს ალბათ სათადარიგოთა სკამზე იჯდება, რადგან ბერძნებთან ვერ გაამართლა. მისმა შემცვლელმა კრისტიანო რონალდომ კი თავისიანთა თამაშიც გამოაცოცხლა და პრესტიჟის გოლიც შეაგდო, ამიტომაც წესით სკოლარიმ მანჩესტერელს უნდა ანდოს ძირითადი.

ძირითადში თამაშის არ სჯერა ნუნუ გომეშს. წინ პაულეტა გვყავს, მე კი მის მხარდამხარ იშვიათად მითამაშია, ამიტომაც ალბათ არ დავით გამაგრებული დაცვისა და ესპანელი გარემარბების ჭიდილი იქნება. ცხადია, ბერძნებს რაულისა და ფერნანდო მორიენტესის წყვილის შეჩერებაც ძალიან უნდა გაუჭირდეთ.

ესპანელების მწვრთნელმა, ინაკი საესმა განაცხადა, რომ რუსების დამმარცხებელი შემადგენლობა დღეს ოდნავ სახეცვლილი იქნება. სავარაუდოდ, საუბარია ხაბი ალონსოს შემადგენლობაში ჩართვაზე, რაც გუნდის თამაშს გაასწრაფებს.

ბერძნებმა კი იციან, რომ მათი მთავარი კოზირი უკანა ხაზია. იურკას სეიტარიდისმა, ტაკის ფისასმა, ტრაიანოს დელასმა და მიხალის კაპსისმა ესპანელების წინააღმდეგაც უნდა გაიმეორონ იგივე, რაც ლუიშ ფიგუს, სიმაო საბროსას, კრისტიანო რონალდოს, დეკოს და სხვების წინააღმდეგ მოახერხეს.

„ჩვენი უძლიერესი რგოლი დაცვაა — თქვა დემის ნიკოლაიდისმა — პორტუგალიასთან გამარჯვების დიდი შანსი არ გვქონდა, მაგრამ ფეხბურთში, ხომ ხედავთ, ყველაფერი ხდება“.

როგორც ჩანს, ნიკოლაიდისს და მის მეგობრებს ამჯერადაც „ყველაფრის“ იმედი აქვთ.

პაპუნა კედია

სკოლარის სამწვადე რუსული ყინულით

„მოდით, გავალღოთ ეს ყინული!“ — ამ შინაარსის პლაკატებია გაკრული მთელს პორტუგალიაში. ამ პლაკატების მნახველი იმასაც დაინახავს, რომ დიდი ყინულმჭრელი ყინულს ებრძვის. ცხადია, ყინული რუსეთია, ყინულმჭრელი — პორტუგალია. საკითხავი კი ის არის, ლამის 40-გრადუსიან პორტუგალიურ ხვატს ყინულმჭრელი რად უნდა. ცხადია, ეს ყოველივე სიმბოლურია, თუმც რეალობიდან შორს ნაღდად არ არის: პორტუგალიას ალბათ ყინულივით შემოედნება რუსეთი.

პორტუგალიის ნაკრები რუსეთთან მატჩის წინ ძუ ლომს დანატრებულ გალიაში გამოკეტილ ხვადს ჰგავს. პორტუგალიას თამაში უნდა, ომი სწყურია და ბერძნებთან მატჩის დამთავრებისთანავე მზად იყო რუსეთის ჩასაყლაპად.

„მხოლოდ გამარჯვება! ფიქრიც კი მზარავს სხვა შედეგზე“ — ამბობს სიმაო საბროსა და მთელი გუნდი ამ განწყობაზეა. რუსეთთან ქულა, ჯგუფიდან ვერგასვლას ნიშნავს, ეს კი, მთელი ერისთვის სამარცხვინო ლაქა იქნება — პირი აქვთ შეკრული პორტუგალიურ გაზეთებს და ალბათ, სხვაგვარად არც უნდა იყოს.

ბერძნებთან მატჩმა აჩვენა, რომ პორტუგალიას ჩემპიონატის მასპინძლობით ძალზედ დიდი ტვირთი აწევს და ეს ტვირთი მძიმე სატარებელია. როგორ, რა გზით, ქომაგს არ აინტერესებს. პორტუგალია ჯერ ჯგუფიდან უნდა გავიდეს, მერე კი დანარჩენზეც იფიქროს.

ზემოთ ნახსენები სიმაო საბროსა დღეს ალბათ სათადარიგოთა სკამზე იჯდება, რადგან ბერძნებთან ვერ გაამართლა. მისმა შემცვლელმა კრისტიანო რონალდომ კი თავისიანთა თამაშიც გამოაცოცხლა და პრესტიჟის გოლიც შეაგდო, ამიტომაც წესით სკოლარიმ მანჩესტერელს უნდა ანდოს ძირითადი.

ძირითადში თამაშის არ სჯერა ნუნუ გომეშს. წინ პაულეტა გვყავს, მე კი მის მხარდამხარ იშვიათად მითამაშია, ამიტომაც ალბათ არ დამაყენებს სკოლარი, თუმც ბედნიერი ვიქნები, რომ ვცდებოდეო, თქვა ნუნუმ. პორტუგალიელთა სავარაუდო შემადგენლობას თუ თვალს შეავლებთ, ნახავთ, რომ იგი ცდება — ბრაზილიელმა მწვრთნელმა იგი სასტარტოში დააყენა.

A ჯგუფი. II ტური. დღეს

ლისაბონი. ლუზი. 23.45

რუსეთი — პორტუგალია

სავარაუდო შემადგენლობები

ოვჩინიკოვი; ევსეევი, სმერტინი, ბუგაევი, სენიკოვი; რადიმოვი, ალდონინი, ალენიჩევი, იზმაილოვი; ბულიკინი, სიჩოვი

: რიკარდუ; პ. ფერეირა, ჟორჟე ანდრადე, ფ. კოუტუ, რუი ჟორჟე; ფიგუ, კოშტინია, მანიშე; დეკო; პაულეტა, ნუნუ გომეში

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

თავად სკოლარიმ კი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ბერძნებთან მარცხის დასავიწყებლად დიდი მწვადობა მოაწყო ალკაშეტეს ბაზაზე. თანაც, სკოლარისვე გადაწყვეტილებით, ბაზაზე ფეხბურთელების ოჯახის წევრებიც მიიწვიეს. ჰოდა, სხვებთან ერთად მწვადი თავად სკოლარის ოჯახის წევრებმა, რუი კოშტას მშობლებმა, დანარჩენების ცოლებმა და კრისტიანო რონალდოს პირმშვენიერმა და ლილიანამაც მიირთვეს. მწვადის გემოსი რა მოგახსენოთ და ამ პიკნიკით ყველა რომ კმაყოფილი დარჩა, ცხადია.

მატჩისწინა ბოლო ვარჯიშისას სკოლარიმ კიდევ ერთი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ნაკრები „ლუზის“ ნაცვლად, თამაში რომ უნდა გაიმართოს, ბაზაზე, ალკაშეტეში ავარჯიშა. პორტუგალიელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება ასე ახსნა: 40 გრადუსიან სიცხეში „ლუზზე“ მისასვლელად დიდი დრო გვჭირდებოდა ავტობუსით, თანაც იქ რომ ვიავარჯიშოთ, რუსთა ჯაშუშებს ვერ ავცდებითო.

ჰოდა, ჩაიკეტა პორტუგალია ალკაშეტეში.

ბოლოს რუსებზეც ვთქვათ. თუმც, რაა სათქმელი. ფაქტია, გუნდში ცუდი ატმოსფეროა შექმნილი. ძვირად დაუჯდა ალექსანდრ მოსტოვოის ესპანელ მედიელთათვის ნათქვამი სიმართლე: ასეთი დაღლილი გუნდით ჯგუფიდან ვერ გავალთო. თქვა და, გეორგი იარცევამ მოსტოვოი ნაკრებიდან დაითხოვა.

პაატა კვანტალიანი

საბერძნეთი	1	1	0	0	2:1	3
ესპანეთი	1	1	0	0	1:0	3
პორტუგალია	1	0	0	1	1:2	0
რუსეთი	1	0	0	1	0:1	0

III ტური: 20 ივნისი

რუსეთი — საბერძნეთი

ესპანეთი— პორტუგალია

ობიექტი

ერეკლეიანი
ბიბლიოთეკა

ჯაცი რომ თამაშობს
და გოგო ტრიბუნაზე
უზის, რა იცი,
ვინმემ არ აწყენინოს.
მოულოდ, ფრანჩესკო
ტოტიმ თავისი გოგო
ძმას ჩააბარა

ამ ჯარგი გოგოს ჭიჯიდან
სრულიად ბულგარეთის
სევდა იმზირება

ჭკვიანურია! ტიერი
ანრი მაისურას რუჯავს



ანდი ვან
დერ მეიდე,
არ ვიცოდით
და, ბანებმა
მვიდი ყოფილა

ალექსანდრ ფრეი რეჟისორია,
მურატ იაკინი ოპერატორი,
მთავარი კი ჯადრს მიდგა დარჩა



ფერნანდო ტორესი
ვატარა ჯალათში
თუ აგდებს, დიდ ჯარში
მით უმეტეს შეაგდებს.
ხომ ლოგიკურია?!

რამდენი ინგლისელი იარაბახებს, მე ვარი
სახე მკინც არ ჩანს. ბოტასებით თუ შეამოწმებ

შოთა და ზურა: ნათელმიერონი

ბადრი ჯობილაძის ფოტო

ელენე არველაძე დაიბადა ამსტერდამში, წამოიჩიტა გლაზგოში და მოინათლა თბილისში — გუშინ შოთა არველაძის ასულს ზურაბ ხიზანიშვილმა ჩამოჰკიდა ნათლობის ჯვარი.

რეინჯერსელი ქართველები ახლა ოდენ მეგობრები კი არა, ნათესავები შეიქნენ. ფეხბურთი მართლაც სულ სხვა ბაცილაა, ის ოჯახებშიც იჭრება და ადვილად გადამდებია — ხიზანიშვილ-არველაძეები გლაზგოში თითქმის ერთი ოჯახივით არიან და მათ შორის ნათელმირონობა ალბათ აქედანაც მოდის. ნათლია ხიზანიშვილი კი ჯერაც უცოლოა.

ამხანაგური მატჩი

გეგუჩაძემ ორი დინამო ათამაშა

დილამ ისევ ვერ გაიტანა

ბადრი ჯობილაძის ფოტო

მომდევნო ჯერზე ზურაბ ხორგუაშვილიბულგარეთში ინვიტირებს

თბილისი. 15 ივნისი. 17.30 საათი. ეროვნული. 100 მაყურებელი

დინამო 3:0 დილა

1:0 დვალი (12), 2:0 კაკალაძე (47), 3:0 გონჩაროვი (70)

დინამო:	დილა:
მამალაძე (თოთლაძე 46), კანდელაკი (შაშიაშვილი 46), გიგაური (სილაგაძე 46), ლ. სალუქვაძე, კიკნაძე (კვირკველია 46), კ. ალადაშვილი (კაშია 46), ხმალაძე (კანავა 46), ანჩაბაძე (რომერო 46), იაშვილი (გონჩაროვი 46), მელქაძე (ახალაია 40), დვალი (კაკალაძე 46)	სოღოლაშვილი (თ. ილურიძე 74), ბალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გილაური, რაზმაძე, მასურაშვილი (ხანიშვილი 54), რ. ონიანი, ბ. ჩიტაია (სამადაშვილი 66), შატაკიშვილი, მუშკუდიანი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე	მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: სილაგაძე (77)

მსაჯი: ლ. სილაგავა

ბადრი ჯობილაძის ფოტო

ბორის გონჩაროვმა პირველი დინამოური გაიტანა

„დინამოში“ ერთი ახალწვეულია — თბილისის „სპარტაკიდან“ წამოსული გიორგი კიკნაძე, თუმც მისი „დინამოში“ ჩარიცხვა-არჩარიცხვა დროის საკითხია.

მატჩი კი ვერაფერი სანახავი გამოდგა, საინტერესო და დაძაბულ ბრძოლას არც არავინ ელოდა, მაგრამ „დილას“ ასეთი უნიათობა მაინც სათქმელია — გორელებმა ზედიზედ ორ ამხანაგურ მატჩში ხუთი გოლი გაუშვეს და ერთიც ვერ გაიტანეს, არადა, 20 ივნისს „დილა“ ევროსარბიელზე გადის, ინტერტოტოზე ბულგარულ „მარეკს“ ესტუმრება.

პირველი გოლი ასე გავიდა — ანჩაბაძის გამჭოლი პასი ბალაშვილმა ვერ ჩაჭრა და დვალმა ერთი შეხებით, გარე ტერფით დარტყმული მოჭრილი ბურთი გაუტანა გორელთა მეკარე სოღოლაშვილს. „დინამო“ გოლის შემდეგაც ბევრს უტევდა, თუმც მეორე ტაიმამდე საგოლე მომენტებს ვერ გამორჩა.

შესვენების შემდეგ „დინამოში“ სალუქვაძის გარდა ყველა შეიცვალა და პირველივე იერიში გია გეგუჩაძის შეგირდებმა გოლით დაასრულეს — კვირკველიას ჩაწოდებულს კაკალაძემ დაჰკრა ზუსტი თავური. გოლი ექსსიონელმა გონჩაროვმაც შეავდო — ახალაიას დარტყმული ძელმა აისხლიტა და ახლოდან დაამატა.

„დილა“ ოდენ ერთხელ დაემუქრა „დინამოს“ — ხანიშვილის თავური თოთლაძემ გააუნებლა.

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯობილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა და არ აეწყო საქმეები თბილისის „ლოკომოტივს“. ვარდების რევოლუციამ კლუბის პატრონი აკაკი ჩხაიძე შეიწირა, თუმცა საქართველოში მანამდე ერთ-ერთ ყველაზე კარგი პირობების მქონე გუნდს წესით ახალი მეპატრონეების ხელშიც არ უნდა გასჭირვებოდა...

მწვრთნელ-ფეხბურთელთა საბედისწეროდ ლევან ვარშალომიძემ რკინიგზას ორი თველა უხელმძღვანელა. მოგვიანებით იგი დავით ონოფრიშვილმა შეცვალა და „ლოკომოტივის“ მესვეურები ამჯერზეც იმედიანნი ჩანდნენ, სჯეროდათ, რომ ბოლო-ბოლო კლუბი იარსებებდა. და ბედის ირონიაც: ახლახან გაირკვა, რომ ონოფრიშვილიც მიდის, ივი რუსეთში საქართველოს ელჩად ინიშნება.

ლევან ქიფიანს ონოფრიშვილი რუსეთში გაეჭცა

ვინ გახდება რკინიგზის შეფი და საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ ბედის გამგებელი, ჯერაც უცნობია. გუნდი კი ორიოდ დღეა, რაც შეიკრიბა და ვარჯიშები განაახლა. დღევანდელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე კლუბის დირექტორს *ლევან ყიფიანს* ველაპარაკეთ...

— „ლოკომოტივი“ შეიკრიბა და ჯერ ჩვენს სათადარიგო მოედანზე ვვარჯიშობთ. ადრეც გითხარით, რომ კლუბი რამდენიმე მოთამაშემ უკვე დატოვა, თუმცა წინა სეზონის შემადგენლობის ბირთვი მაინც შევინარჩუნეთ.

— ახალწვეულები გეყოლებათ?

— ჩვენს მდგომარეობაში რაიმე მნიშვნელოვან ტრანსფერზე ფიქრი გაგვიჭირდება. ძირითადად ჩვენივე სკოლიდან მივიღებთ შევსებას. ერთადერთი, რის გაკეთებასაც მოწვეული ფეხბურთელით ვცდილობთ, სამეკარეო პრობლემის გადაჭრაა. ჩვენთან ვვარჯიშობენ ზურაბ ბათიაშვილი და დავით გვარამაძე და ვეცდებით, ისინი კლუბში დავიტოვოთ.

— ჩვენი წინა შეხვედრისგან განსხვავებით, პესიმიზმი გეტყობათ...

— ეს არც არის გასაკვირი. გუნდის მომავალი ჯერაც ბუნდოვანია. ახალი მეპატრონე უნდა მოვიდეს, შემდეგ მას შევხვდეთ და კლუბის მომავალი გავარკვიოთ. შეკრებასა და გუნდის გაძლიერების პერსპექტივებზე კი მერე ვილაპარაკოთ.

— ადრე ინვესტორებზეც თქვით...

— „ლოკომოტივი“ რკინიგზის გუნდია და ინვესტორის შემოსვლაც მათთან შეთანხმებით უნდა მოხდეს. მოკლედ, ამ ეტაპზე სრულ გაურკვევლობაში ვართ.

დავით ერაძე

წამსვლელი წავიდეს

დავითაშვილი ტორპედოს ტოვებს



ბადრი ჯობილაძის ფოტო

სულიკო დავითაშვილი

ქუთაისის „ტორპედოში“ ისევ გაურკვევლობაა. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ჯერაც არ იციან, რა იქნება სამომავალოდ, მთლად უარესი კიისაა, რომ დამაიმედებელიც არაფერი ესმით. გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა „სარბიელს“ განუცხადა, დიდი შანსია, ფეხბურთიდან წავიდეო. მისი წასვლა კი, ცხადია, პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძის წასვლასაც ნიშნავს, რამაც, შესაძლოა, გუნდის დაშლაც გამოიწვიოს.

ერთი სიტყვით, „ტორპედო“ ჰაერშია გამოკიდებული და რა როგორ იქნება, 20 ივნისს, გუნდის კრებაზე გაირკვევა. ეს გვითხრა რიონისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამაც...

— 20-ში ბიჭებს და ხელმძღვანელობას შევხვდები და მაშინ გავიგებ ყველაფერს. ახლა არაფერი ვიცი. თუ სიკეთე იქნა და სერიოზული მიზნები დაგვისახეს, ამას რა სჯობს, წინასწარ კი ნაღდად ვერაფერს გეტყვით.

— გავიგეთ, ფეხბურთელები გუნდიდან მიდიანო...

— მე რა ვქნა... თუ წავლენ, წავიდნენ და ჩვენც სხვებს მოვიყვანთ. ბოლო-ბოლო, ვინ მიდის? მხოლოდ ის ვიცი, რომ სულიკო დავითაშვილი გვტოვებს. სხვებზე არაფერი გამიგია...

კახა შალამბერიძე

სად ითამაშებს უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი?

დარასელია ჯამარაული დემეტრაძე ჩვენ დაგვრჩებ



ბურაკ დოლიდაძეს ფოტო

ერთი კვირაა, ტრავმა-მოშუშებულმა ალანიელებმა ვიტალი დარასელიამ და ლევან გვაზავამ სრული დატვირთვით განაახლეს ვარჯიში, თუმც ჯერ მაინც ექიმების მეთვალყურეობით. „ალანიაში“ კი ქართული ლეგიონის მატებაზე ფიქრობენ და ამას ვიტალი დარასელიას მცირე ინტერვიუდანაც შეიტყობთ, გუშინ ფრანგულ შეკრებაზე რომ შევეხმიანეთ...

— მესამე დღეა, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. მეგონა, გამიჭირდებოდა, მაგრამ საქმე კარგად მიდის. კურბისიც კმაყოფილია ჩემი და გვაზავას გამოჯანმრთელებით.

— ამხანაგურ მატჩებს როდის ითამაშებთ?

— ხუთ-ექვს დღეში. ძირითადად საფრანგეთის ქვედა დივიზიონების კლუბები იქნებიან ჩვენი მეტოქეები.

— თბილისში გახშირდა ლაპარაკი, რომ „ალანია“ ქართველი ფეხბურთელებიცაა დაინტერესებული...

— მხოლოდ ის ვიცი, რომ გიორგი დემეტრაძე გადმოდის და ეს თვითონ დემემაც მითხრა. მისი შეძენა მართლაც უნდათ და სერიოზული მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. გიორგიმ მითხრა, რაც უფრო კარგ პირობებს შემომთავაზებენ, მით უფრო მალე ჩამოვალო. მგონი, იგი მაინც ჩვენი გახდება.

დავით ერაძე

გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის „მეტალურგმა“ მიზანს მიაღწია – დონეცკელებმა უეფას თასის საგზური მოიპოვეს. გუნდს საამისოდ დიდი ბრძოლა და ბევრი ენერგია დასჭირდა. არადა, უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე, „მეტალურგს“ მეოთხე ადგილი თითქმის განღდებული ჰქონდა. სეზონში ორი მწვრთნელის შეცვლამ, ზედმეტად თავდაჯერებულმა თამაშმა ჯი ის გამოიწვია, რომ „მეტალურგს“ ჯონჯურენტი „ჩერნომორეცი“ დაეწია და საბოლოოდ მეოთხე ადგილის ბედი უკრაინის ჩემპიონატის წინა ტურში გადაწყდა – „მეტალურგმა“ შინ „ტავრიასთან“ ფრე ითამაშა, ხოლო „ჩერნომორეცმა“ ჯიევში წაგო.

— როგორც იქნა, ამოვისუნთქეთ, — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა — მეორე წრეში „ჩერნომორეცმა“ ყველასთვის მოულოდნელად თამაშს ძალიან მოუმატა და უეფას თასის საგზურს შეგვეცილა. ჩვენ ბევრი ქულა დავკარგეთ, საკმაოდ ვინერვიულეთ, მაგრამ წინა უქმეებზე, „მეტალურგის“ და „ჩერნომორეცის“ ბრძოლა მაინც ლოგიკურად დასრულდა, წლეულს ჩვენ ოდესელებზე უკეთ ვთამაშობდით.

— არადა, პირველი წრის მერე „ჩერნომორეცი“ საკმაოდ ჩამოგრჩებოდათ...

— კი, მაგრამ მეორე ეტაპისთვის, ეტყობა, ჩვენზე უკეთ მოემზადა და ბევრიც გვანერვიულა.

— ჩავარდნა რისი ბრალი იყო?

— ვერ გეტყვით, მიჭირს კონკრეტული მიზეზის თქმა.

— იქნებ მწვრთნელთა ცვლამ იმოქმედა? „მეტალურგს“ ხომ სეზონი მესამე მწვრთნელმა ჩაამთავრებინა.

— საეჭვოა, ჩავარდნა მწვრთნელთა გამოცვლის ბრალი იყოს. ისე კი, ახლანდელი, სლავოლუბ მუსლინი საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტი ჩანს.

— შვებულება როდის გეწყებათ?

— 19 ივნისს ბოლო თამაში გვაქვს და თბილისშიც, ალბათ, მეორე დღესვე წამოვალთ. შვებულება 29-მდე გვაქვს, 1 ივლისს კი ათდღიან შეკრებაზე ავსტრიაში მივემგზავრებით.

— ათდღიანი შეკრება და ერთ კვირამდე შვებულება ცოტა უცნაური ხომ არაა?

— უცნაურია, მაგრამ... წლეულს უკრაინაში ახალი სეზონი უჩვეულოდ ადრე, 14 ივლისს იწყება. შეკრება, ჩემპიონატი, უეფას თასი, ისე გამოდის, რომ დასვენება არც გვაქვს.

— დემეტრაძეზეც უნდა გკითხო. ამბობენ, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ მისი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი საქმეაო...

— მე კი მგონია, რომ დემეტრაძე დარჩება. ზუსტად ვერ გიპასუხებთ, არ ვიცი და იმიტომ. თუმც ის ვიცი, რასაც აქ, კლუბში ფიქრობენ, დემეტრაძის გაშვება „მეტალურგს“ არ უნდა.

ძოგა ინასარიძე

დონეცკის „მეტალურგი“, რამენსკოეს „სატურნი“, ვლადიკავკაზის „ალანია“... ბოლო ხანს ამ კლუბებს დავით ჩალაძესთან აკავშირებენ. კარგა ხნის უთამაშებლობა ქართველი თავდამსხმელისთვის ჯერაც არ დასრულებულა – ჩალაძემ თავშესაფარი ვერა და ვერ იპოვა.
რამდენიმე თვეა, ჩვენებური მოსკოვშია და მენეჯერისგან წინადადებებს ელის. რა გამოვა ამ საქმიდან, მალე ვნახავთ...

ჩალაძის არ ვიცი: ალანია, მეტალურგი და სატურნი

— რა ვიცი, რა გითხრა, ჯერაც არაფერია გარკვეული. ამდენი ლოდინისაგან ძალიან დავიღალე.

— დონეცკის „მეტალურგი“ რეალური ვარიანტია?

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ პირადად არავინ დამლაპარაკებია. ვნახოთ, ამ ვარიანტის იმედიც მაქვს, თუმცა სანამ უკრაინაში სეზონი არ დამთავრდება, ამაზე საუბარი ნაადრევია.

— „სატურნზეც“ იგივეს იტყვი?

— თქვენ საიდან გაიგეთ „სატურნზე“?

— ვიცით, რომ ბორის იგნატიევმა შენი გადაბირება მოინდომა...

— ჯერ რეალური არაფერია, მაგრამ... მენეჯერი მუშაობს ჩემს ტრანსფერზე და რა გამოვა აქედან, ზუსტად არ ვიცი.

— და „ალანია“?

— ამ ვარიანტზე ნაღდად არაფერი გამიგია.

— როდის უნდა გაარკვიო საბოლოოდ შენი მომავალი?

— რა გითხრა... სატრანსფერო სეზონი უკვე გახურდა და ორ-სამ კვირაში გავიგებ ყველაფერს.

— ყაზანის „რუბინი“ საბოლოოდ გამოირიცხა?

— კი. „რუბინთან“ ურთიერთობის სურვილიც არ მაქვს.

ძახა შალამბერიძე



დავით ჩალაძე (მარჯვნივ) დღემდე კლუბის ძიებაშია

ტრავმიანი გზაჯვარედინი

სვანაძე ცხრა თვით გაჩერდა

წლეულს ტრავმებით განამებულ ლოკომოტიველ რამაზ სვანაძეს იღბალმა მოსკოვში, სამედიცინო შემოწმებისასაც აქცია ზურგი: გართულებული მენისკის დიაგნოზის მომლოდინემ უფრო მძიმე პასუხი მიიღო — ჯვარედინი იოგების დაზიანება, რაც უკეთეს შემთხვევაში შვიდთვიან, უარესში კი ცხრათვიან უქმობას ნიშნავს

ბაბილ ხუციშვილის ფოტო

რამაზ სვანაძეს „სიონთან“ მიღებული ტრავმა ძვირად დაუჯდა

სვანაძე, გუშინ მოსკოვში, რომ შეევეხმიანეთ ძალიან დაღონებული იყო: წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ზუსტად ისე ვიყავი, რუსეთის ნაკრების ექიმმა ზურაბ ორჯონიკიძემ, რომ გამსინჯა და მეორე დღეს პორტუგალიაში გაეგზავნა. ყოველი შემთხვევისთვის მოსკოვის „ტორპედოს“ ექიმებსაც გავესინჯე და ბოლოს მირონოვას სახელგანთქმულ კლინიკაშიც ვიყავი. პასუხი ერთი იყო — ჯვარედინი იოგების დაზიანება.

— მოსკოვში დარჩები და ოპერაციას მანდვე გაიკეთებ?

— ჯერ ნორმალურად გონზეც ვერ მოვსულვარ. რაც ყველაზე ცუდი შეიძლებოდა, ის მოხდა. მოსკოვში მსოფლიოში ცნობილი გერმანელი სპორტული ტრავმატოლოგის პფაიფერის კლინიკის ფილიალია და მითხრეს, რომ თავად პფაიფერი აპირებს ჩამოსვლას. თუ ამ კლინიკაში არ დავრჩი, მაშინ კიევში წავალ, იქაც კარგი კლინიკა ყოფილა. შეგუებას არ ვაპირებ, ვიმკურნალებ და, იმედი მაქვს, ისევ დავუბრუნდები ფეხბურთს.

დავით ერაძე

ადამიას რუსეთში დაუძახეს

იმედაშვილმა ვიტ ჯორჯია დააიმედა

საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორია“ უკვე დატოვეს რევაზ გოცირიძემ და გიორგი დეკანოსიძემ. გიორგი ადამიას და ლაშა ნოზაძეს კი თბილისის „დინამომ“ დაადგა თვალი, რასაც მცირე სკანდალიც მოჰყვა, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი მაინც დატოვებენ „ვიტ ჯორჯიას“ — 1 აგვისტოს კლუბთან კონტრაქტი ორივეს უმთავრდებათ. „ჯერჯერობით „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ვემზადები, ვიცი, პირველ აგვისტომდე ვერაფერს გავხდები და ამიტომაც ვითმენ — გვითხრა გიორგი ადამიამ, — არ ვიცი, შეიძლება „დინამოში“ არც წავიდე და კარიერა რუსეთში გავაგრძელო.

ლაშა ნოზაძეც „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშობს, თუმც ადამიას დარად ისიც პირველ აგვისტოს ელოდება. ნოზაძის „დინამოში“ გადასვლის ამბავი ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ამათ გარდა, „ვიტ ჯორჯიადან“ წასვლის ყველაზე დიდი შანსი ახალგაზრდა მცველ დავით იმედაშვილს ჰქონდა, რომელსაც რუსეთში ეპატიჟებოდნენ, თუმც დათოს კლუბში დარჩენა გადაუწყვეტია და მომავალ სეზონსაც „ვიტ ჯორჯიაში“ შეხვდება.

დავით ერაძე

სარგებელი კროკი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	6,0	3,1	1,65	2,04	1,29	1,07
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,45	3,6	7,0	1,03	1,2	2,37
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.45	014	იტალია-შვედეთი	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67

© 2004 UEFA

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
5009		საბერძნეთი-ესპანეთი	6,0	2,1	2,0	1,55	1,5	1,02
5010		რუსეთი-პორტუგალია	6,0	2,3	1,8	1,66	1,38	1
		17 ივნისი						
5011		ინგლისი-შვეიცარია	1,7	2,5	6,5	1,01	1,34	1,8
5012		ხორვატია-საფრანგეთი	6,5	2,4	1,75	1,75	1,37	1,01
		18 ივნისი						
5013		ბულგარეთი-დანია	4,8	2,15	2,2	1,48	1,5	1,08
5014		იტალია-შვედეთი	2,4	2,0	4,2	1,09	1,52	1,35

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

იტალია. სერია B. პლეი ოფი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
23.30	101	ბარი-ვენეცია	1,8	2,8	4,6	1,09	1,29	1,74
23.30	102	პერუჯა-ფიორენტინა	1,75	2,8	5,0	1,07	1,29	1,79

ნორვეგია. ტიპელიგა. XII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივნისი						
21.00	136	ლილესტრიომი-ლინი	2,0	3,0	3,6	1,2	1,28	1,63
21.00	137	მოლდე-სტაბეკი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	138	ვოლერენგა-ჰამარი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
21.00	139	ოდ გრენლანდი-სოგნდალი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
21.00	140	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
		21 ივნისი						
22.00	141	ვიკინგი-ბრანი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46

ნორვეგია. I დივიზიონი. XII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
22.00	144	ბრინი-ჰაუგესუნდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
22.00	145	ჰიოდი-მოსი	2,45	3,6	2,25	1,45	1,17	1,38
22.00	146	ჰიონეფოსი-კონგსვინგერი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
22.00	147	რაუფოსი-ჰორს გრენლანდი	1,7	3,8	3,6	1,17	1,15	1,84
22.00	148	სანდეფიორდი-სკეიდი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
22.00	149	სტარტი-ალესუნდი	1,85	3,6	3,2	1,22	1,17	1,69
22.00	150	ტრომსდალენი-მანდალი	3,8	4,0	1,65	1,94	1,15	1,16
22.00	151	ვარდ ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი	3,0	3,8	1,9	1,67	1,16	1,26

ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. VI ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
00.15	173	გრინდავიკი-რეიკიავიკი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
00.15	174	ფრამი-აკურიერი	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
01.00	175	აკრანესი-ჰაფნარფიორდური	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62

იაპონია. ჯეი ლიგა. XIII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
15.00	261	ნიიგატა-შიმიცუ	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
15.00	262	ჩერეძო-გამბა	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
15.00	263	იჩიჰარა-ტოკიო	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
15.00	264	ივატა-კობე	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
15.00	265	ნაგოია-ოიტა	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
15.00	266	ვერდი-კაშიმა	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
15.00	267	ურავა-კაშივა	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
15.00	268	იოკოჰამა-ჰიროსიმა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21

ბრაზილია. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
05.45	285	ფლამენგო-ვიტორია	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6

ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. II ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 ივნისი						
04.45	286	ონსე კალდასი-სან პაულუ	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
		17 ივნისი						
23.00	287	რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წაგები ჩაითვლება)

	16 ივნისი		
5409	საბერძნეთი-ესპანეთი	2,6	1,5
5410	რუსეთი-პორტუგალია	3,2	1,35
	17 ივნისი		
5411	ინგლისი-შვეიცარია	1,4	3,0
5412	ხორვატია-საფრანგეთი	3,0	1,4
	18 ივნისი		
5413	ბულგარეთი-დანია	2,4	1,6
5414	იტალია-შვედეთი	1,7	2,2

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	16 ივნისი									
5109	საბერძნეთი-ესპანეთი	10,0	10,0	20,0	10,0	4,4	3,5	20,0	10,0	2,3
5110	რუსეთი-პორტუგალია	10,0	10,0	20,0	12,0	5,0	3,5	25,0	12,0	2,0
	17 ივნისი									
5111	ინგლისი-შვეიცარია	1,9	12,0	25,0	3,5	5,0	12,0	20,0	12,0	12,0
5112	ხორვატია-საფრანგეთი	11,0	11,0	20,0	12,0	4,8	3,5	20,0	10,0	2,0
	18 ივნისი									
5113	ბულგარეთი-დანია	6,5	10,0	20,0	7,5	4,6	3,6	20,0	10,0	2,6
5114	იტალია-შვედეთი	3,0	10,0	20,0	4,0	4,2	7,0	20,0	10,0	6,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	16 ივნისი			
5509	საბერძნეთი-ესპანეთი	3,0	2,8	2,0
5510	რუსეთი-პორტუგალია	3,0	2,8	2,0
	17 ივნისი			
5511	ინგლისი-შვეიცარია	3,0	2,8	2,0
5512	ხორვატია-საფრანგეთი	3,0	2,8	2,0
	18 ივნისი			
5513	ბულგარეთი-დანია	3,0	2,8	2,0
5514	იტალია-შვედეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			---------- კი ----------	---------- არა ----------
		16 ივნისი		
5309		საბერძნეთი-ესპანეთი	1,65	1,95
5310		რუსეთი-პორტუგალია	1,65	1,95
		17 ივნისი		
5311		ინგლისი-შვეიცარია	1,7	1,9
5312		ხორვატია-საფრანგეთი	1,7	1,9
		18 ივნისი		
5313		ბულგარეთი-დანია	1,65	1,95
5314		იტალია-შვედეთი	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		16 ივნისი		
5209		საბერძნეთი-ესპანეთი	1,65	1,95
5210		რუსეთი-პორტუგალია	1,75	1,85
		17 ივნისი		
5211		ინგლისი-შვეიცარია	1,75	1,85
5212		ხორვატია-საფრანგეთი	1,75	1,85
		18 ივნისი		
5213		ბულგარეთი-დანია	1,7	1,9
5214		იტალია-შვედეთი	1,6	2,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ



სმაში შეუხიბრი და მოცეკვავე პატარძლისთვის თითებში დოლარების ჩაჩხერა არ ყოფილა, მაგრამ შუა სლოვენიაში გამართულ ვლადიმერ ბოისას ქორწილს თავისი წილი ქართული ლაზათი მაინც დაჰურავდა. იყო ყანწი და მეუღვარისგან გამოცეკვებული პატარძალი, რაც ევროადათისთვის მიუღებელია – ქალს პირველი ნეფე უნდა ეცეკვოს. გამოიცეკვა და მერე როგორ – ვოვას ხელისმომკიდე ნიკა ცქიტიშვილმა პატარძალი ალენკა რომ საცეკვაო მოედანზე გაიხმო, მერე აღარ დამუდარა. „სკიტას" ბზრიალ-ტრიალმა სლოვენიელებს აფიქრებინა, ამ ბიჭს ნბა-ში რა უნდა, სცენისთვისაა დაბადებულიო. მოკლედ, ნეფე ბოისა საკუთარი ქორწილის ამბავ-ხაბარს გვიამბობს...

ეს ბიჭი კარგად თამაშობს...

ცქიტიშვილმა ბოისას ქორწილი დახურა

— სეზონი კარგ ნოტაზე დავასრულე, ქორწილმა მშვენივრად ჩაიარა და ახლა ყველაფრისგან თავისუფალი ვარ.

— ქორწილამდეც კარგ დროს გაატარებდი, თბილისელი ნათესავ-მეგობრები კარგა ხნით ადრე ჩამოვიდნენ ლიუბლიანაში...

— ქორწილი წინა პარასკევს მქონდა, საქართველოდან კი ორშაბათს ჩამოვიდა მაყრიონი. ერთხელაც ჩამოვთვალო? „ცქიტო", „კედო", ტუღუში, ბაბიაშვილი, ვაჟა კვარაცხელია, რუსთაველი ძმაკაცები — გოცაძე, ჯიმშელეიშვილი და ტაბაღუა. ჩემი ძმა და მშობლები მანამდე ჩამოვიდნენ.

— სტუმრები სად დააბინავე, ნუთუ ამხელა სახლი გაქვს?

— ჩამოსულთა უმრავლესობას კარგად იცნობს „სლოვანის" პრეზიდენტი იანის რაიგელი და გუნდის შვებულებაში მყოფი მოთამაშეების ბინის გასაღებები ჩამოურიგა. შემეძლო, ჩემი გუნდის ხელმძღვანელობისთვის მეთხოვა საცხოვრებელის გამოყოფა, მაგრამ რაიგელმა კეთილი ნება გამოიჩინა.

— ქართველების ჩამოსვლიდან ქორწილამდე მთელი 5 დღე იყო, ქეიფსაც მოასწრებდით...

— ჰო, აბა, როგორ იქნებოდა სხვანაირად. სამშაბათს „მალჩიშნიკი" მომიწყვეს და ერთ-ერთ ლიუბლიანურ ბარში მაგრად გავერთეთ.

— „მალჩიშნიკი" „მალჩიშნიკურად" დასრულდა?

— არა, ქალი არ მოუყვანიათ, უბრალოდ, ერქვა ასე, თორე უბრალო გასართობი „ფართი" იყო.

— ახლა ქორწილის ამბებიც გვიამბე, თამადად ვინ გყავდა?

— მთელს ქორწილს ერთი თამადა არ ჰ ყოლია, ქართველების სუფრაზე კი ბესო ტაბაღუამ ითამადა.

— ესე იგი უფრო ევროპული ქორწილი იყო. რა იყო ჩვენებური, ტრადიციული?

— საქართველოდან ჩამოტანილი ყანწებით დალიეს მე და ალენკას სადღეგრძელო. ყანწებით სმა სლოვენიელებსაც მოეწონათ და ზოგიერთი ცოტა შეგვითვრა.

— ქართველების სუფრაზე ალბათ ბევრი ღვინო დაილია...

— სულ ასამდე კაცი იყო და ათიოდ ქართველმა ალბათ დანარჩენებზე მეტი ღვინო დალია. კი დათვრნენ, მაგრამ არც ისე, სიმღერასა და ცეკვაში რომ ხელი შეშლოდათ.

— საცეკვაო „სეზონს" „ცქიტო" გახსნიდა...

— ჰო, მაგრამ აქ პირიქითაა, თავიდან პატარძალს სასიძო გამოიცეკვებს ხოლმე. ყველას ეგონა, პირველად მე ვეცეკვებოდი ჩემს მეუღლეს და ცოტა გაუკვირდათ, ნიკამ რომ გამოიცეკვა ალენკა. ცქიტიშვილმა მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურებზე. ხალხი გაგიჟდა, ამ სიმაღლე კაცი ასე როგორ დახტის და იკეცებაო. მოკლედ, „ცქიტომ" „დახურა" რა... ნიკას შემხედვარე ფეხნაოპერაციებმა კოტე ტუღუშმაც იცეკვა.

— ნიკამ ცეკვაში იყოჩაღა, სიმღერაში?

— მაგაში ჩემი ძმა იყო პირველი. ტოლიკამ ქართულადაც იმღერა და სლოვენიურადაც, თურმე სპეციალურად ჩემი ქორწილისთვის დაუზეპირებია ერთი აქაური სიმღერა და სიურპრიზი მოგვიმზადა.

— შენ რა სიურპრიზი მოუმზადე საკუთარ თავს?

— თორმეტმა რომ ჩამოჰკრა, ჩემგან დაქირავებულმა მოპეტარდეებმა სალუტები დაჭექეს. ძალიან ლამაზი სანახაობა გამოვიდა, მთელი ლიუბლიანა დაინახავდა. ბიჭებმა თქვეს, ასეთი რამ საახალწლოდ თბილისშიც არ გვინახავსო.

— „ოლიმპიას" კაპიტნის ქორწილი, ცხადია, ჟურნალისტებსაც დაინტერესებდათ...

— უამრავი ჟურნალისტი მიკავშირდებოდა პრესიდან და ტელევიზიიდანაც, მაგრამ ყველას უარით ვისტუმრებდი, არ მინდა, რომ ჩემი ქორწილი გააშუქოთ-მეთქი. „ბოდიგარდები" დავიქირავე, დავავალე, კამერიანი არავინ შემოშვათ.

— ჯვრისწერა თუ გქონდა?

— არა, ჩემი მეუღლე ხომ კათოლიკეა. თუმც ეკლესიაში მაინც მოგვიწია შესვლამ. კვირას ჩემი შვილი, 6 თვის ნაია მოვნათლეთ. ნათლიები ნიკა ცქიტიშვილი და ოლიმპიელი გორან იურაკის მართლმადიდებელი მეუღლე ვალენტინა იყვნენ.

— ქორწილი როდის დამთავრდა?

— ღამის 5 საათზე. ყველა კმაყოფილი დარჩა — მთავარი ხომ ეს იყო.

— ახლა სად არიან ქართველი მექორწილეები?

— „ცქიტო", ვაჟა კვარაცხელია და ბესო ტაბაღუა თბილისში იქნებიან უკვე, დანარჩენები კი გზაში, წუხელ გამოვაცილე.

— შენ როდის მოდიხარ?

— ახლა უნდა დავისვენო. ან აქ ან ხორვატიაში გავატარებ რამდენიმე კვირას და ივლისში ათიოდ დღით ჩამოვალ საქართველოში. იტალიურ ტურნირზე კი აუცილებლად ნაკრებთან ერთად ვიქნები.

ირაკლი პერტაია

ლეიკერსი 1:3 დეტროიტი

მე-4 თამაში. 15 ივნისი. დეტროიტი

დდეს გამოეხიბლა, დეტროიტი ბახჩაბლიძეა ფინალური სერიის მეხუთე თამაშს, რომელიც, შესაძლოა, საბოლოო ყოფილიყო. „დეტროიტ პისტონსი" 3:1 ამარცხებს „ლოს ანჯელეს ლეიკერსს"

საბრალდებო დასკვნა პრინსი ბრაიანტის მკვლელია

თამაში მაშინ უნდა გენახათ...

ოდესღაც, როცა ამ ფინალის მონაწილეთა უმრავლესობა სკოლაშიც არ დადიოდა, „ბოსტონ სელტიქსთან" ფინალში წაგებული „ლეიკერსის" ლეგენდარულმა მოთამაშემ ქარიმ აბდულ-ჯაბარმა გასახდელში სკამს წამოავლო ხელი და კედელს მიალეწა...

ისევ იმ დროში, ისევ იგივე მიზეზის გამო მეორე ლეიკერსელი ლეგენდა მეჯიქ ჯონსონი მთელი ზაფხული ერთ ოთახში იყო გამოკეტილი და დეპრესიას ებრძოდა. იგი საკუთარ თავს ადანაშაულებდა „ბოსტონთან" თითქმის მოგებული ფინალის წაგებაში.

და რა ხდება დღეს?

კობი ბრაიანტი მატჩის შემდეგ ისე ელაზღანდარავება თანაგუნდელებს და გარემოცვას, თითქოს ფინალური სერიის შეხვედრა კი არა საგამოფენო მატჩი წაეგოს. ცოტა შაკი გამოთქვამს უკმაყოფილებას, მაგრამ მის ბუხუნში პირადი ეგო უფრო სჩანს, ვიდრე მარცხთან შეუგუებლობა — რატომ არ მაძლევთ პასებს — ასეთია „ლეიკერსის" დევლიდერის ჩივილის მიზეზი.

ბევრი შეცვლილა ამ ოც წელში. ყველაფერი ვითომ ფულის ბრალია? ძირითადად კი.

ფინალის პრინცს ტაიშონი ჰქვია

დასავლეთის ფინალში, „მინესოტასთან" კობი ბრაიანტი თამაშიდან საშუალოდ 19,3 ბურთს და 9,3 საჯარიმოს ისროდა. ახლა ეს მონაცემები მკვეთრად შეიცვალა. კობიზე თითქმის არ ჯარიმდებიან შეგნებულად და „დეტროიტთან" ის თამაშში საშუალოდ 3:5 საჯარიმოს ისვრის. სამაგიეროდ, ბრაიანტმა თამაშიდან სროლის რაოდენობა 19,3-დან 23,0-მდე გაზარდა. ალბათ ხვდებით, საით ვუმიზნებთ. ბრაიანტი იძულებულია, მეტი ისროლოს, მაგრამ ამის მოუხედავად, რომ მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 24,3 ქულიდან 22,3-მდე შემცირდა. დასკვნაც გაკეთებულია — კობის უჭირს „დეტროიტთან" კონკრეტულად კი მასზე მიჩენილ ტაიშონ პრინსთან გამკლავება.

„არასდროს მეგონა, რომ ტაიშონ პრინსი ასეთი დამცველი იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მას პერსონალური დაცვა შეუძლია. ის ძალიან კარგად მეურვეობს კობის. მოთამაშეები ასე ხდებიან სუპერვარსკვლავები."

პრინსი ბრაიანტზე სუსტი კია, მაგრამ რვა სანტიმეტრით მაღალი და სასროლად შემართულ კობის ელეთ-მელეთი ემართება, წინ მის უგრძეს ხელებს რომ ხედავს.

„ასეთ გრძელ ვინმესთან აქამდე არ მიოამაშია — ამბობს ბრაიანტი.

თავად პრინსი თამაშში საშუალოდ ათ ქულასაც ვერ აგდებს და სასტარტო მოთამაშეებში ყველაზე ნაკლები უგროვდება, მაგრამ მისი გარჯა სხვებზე ნაკლებ არ ფასობს.

სერიის მეორე თამაშში, რომელიც „ლეიკერსმა" სასწაულად მოიგო, ბოლო სროლის დროს ბრაიანტისთვის რიჩარდ ჰამილტონის ნაცვლად ტაიშონ პრინსს რომ ემეურვეა, ახლა „დეტროიტი" უკვე ჩემპიონი იქნებოდა.

ფინალს მიღმა პომერიცია ხმაურობს

დასავლეთს ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა, „დეტროიტი" 3:1 ამარცხებს „ლეიკერსს" და პირველად ბოლო ექვს წელიწადში საჩემპიონო თასი მისისიპის აქეთა მიწებზე დაიდებს ბინას.

სანახაობა, ინტრიგა და სენსაცია — ტელევიზიებსაც მეტი რა უნდათ. ფინალის რეიტინგი მაღლა მიფრინავს და ღამის ორჯერ მეტია შარშანდელზე. ეიბისი-ს გამოკვლევით ფინალის ყოველ მატჩს შეერთებული შტატების დაახლოებით 760 ათას ოჯახში უყურებენ.

კოტე ყორღია





კობი ბრაიანტმა ტაიშონ პრინსი ვერ მოიშორა

მარტინეტის სტუმრობა, ნუ გგონიათ ხუმრობა

ვარაზ დოლიძაშვილის ფოტო

რაფაელ მარტინეტიმ გოჩა ძასოხოვის მხარზე ხელის ტყაპუნით გული იჯერა

ეტყობა, ბევრი ასე ფიქრობდა: ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტის თბილისში სტუმრობა, ნუ გგონიათ ხუმრობაო, რადგან მის ვიზიტს ერთ დიდ იმედს უკავშირებდნენ. თავის მხრივ ეს იმედი უკავშირდებოდა ჩვენი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავის, ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ბადრი ხასიას, რომელიც მიზეზთა გამო ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის გარეშე დარჩა. ჰოდა, იმედოვნებდნენ, აი, ახლა მარტინეტი რომ ჩამოვა, იტყვის, ბადრი ხასაიას ჩემგან ეგრეთწოდებული საოლიმპიადო ველური ბარათი ფეშქაშად მომირთმევიაო.

და როცა მარტინეტის ამ თემაზე სიტყვა ჩამოუგდეს, ყველას ცივი წყალი გადაგვასხა, ჭიდაობაში ისეთ ძლიერ ქვეყნებზე, როგორიც საქართველოა, ფეშქაშად ოლიმპიურ ლიცენზიებს არ ვარიგებთო. მერე იქვე განმარტა, იმ ეგრეთწოდებულ „ველურ ბარათებს“ ისეთ ქვეყნებს ვაძლევთ, რომლებსაც მათი მოპოვება თავად არ შეუძლიათ, მაგალითად, კამერუნს და ინგლისსო. თან დაგვამშვიდა, საქართველოს ჭიდაობის ორივე სახეობაში თორმეტი ლიცენზია აქვს, რითაც თავს ცოტა თუ მოიწონებს და ჩვენი დახმარება თქვენ აღარ გჭირდებათო.

დახმარება ყველას უნდა, მათ შორის ძლიერებსაც, რათა მათ ოქრო მოიპოვონ — მორიდებით შეჰბედეს შვეიცარიელ პრეზიდენტს, იმან კი, თქვენს მაგივრად მე ვერ ვიჭიდავებ, იმის პირობას კი გაძლევთ, რომ მსაჯობა ობიექტური იქნებაო.

ეს ყველაფერი მარტინეტიმ დიდი მობოდიშებით მოგვახსენა. და საერთოდ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მასთან შეხვედრა სტუმარმა სულაც მობოდიშებით დაიწყო.

პირველი ბოდიში იმისთვის მოიხადა, რომ როგორც ფედერაციის პრეზიდენტი თქვენ ქვეყანაში, რომელიც ძველი თუ ახალი მოჭიდავეებით ესოდენ განთქმულია, აქამდეც არ ვყოფილვარ და ეს მაპატიეთო.

მეორედ იმისთვის მოიბოდიშა, თქვენთან მთლად ხელცარიელი მოვედიო. თურმე ბარგი ავიარეისასას დაკარგულა და ცარიელ-ტარიელი დარჩენილა. თავს ხუმრობით იმით იმშვიდებდა, აი, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი ჩემი გაბარიტებისაა და პერანგს თუ პიჯაკს, რაც დამჭირდება, მათხოვებს და არ დამამადლისო. ამას რომ ამბობდა, ძასოხოვს მეგობრულად მხარზე ხელს უტყაპუნებდა.

და საერთოდ, მარტინეტიმ იმ შეხვედრაზე მხარზე ხელი ჩვენს სახელგანთქმულ ვეტერან ფალავნებს ლევან თედიაშვილსა და გურამ საღარაძესაც ბლომად უტყაპუნა. ყოველივე ამას შორიახლოს მჯდომი კიდევ ერთი ვეტერანს ჭიდაობის ვარსკვლავი რომან რურუა, ჩუმად ადევნებდა თვალს. თუმცა, ჩვენი ვეტერანი მოჭიდავეების ამბავი რომ ვიცით, გუშინ საღამოს რურუასაც ჩაეხუტებოდა მარტინეტი, სხვებსაც და იმ დაკარგული ბარგით გამოწვეული დარდი სულ დიმპიტაურით გაუქარვდებოდა.

ამასთან, სტუმარს გუნება-განწყობილება სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა იმ შეხვედრაზე უკვე გამოუკეთა, როცა მას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამახსოვრო საიუბილეო მედალი გადასცა და დასძინა, ასეთი პატივი უცხოელთაგან სულ რამდენიმე კაცს რგებია, მათ შორის სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩსო.

მაგრამ მარტინეტი, ცხადია, თბილისს არც ამ მედლის მისაღებად და, მით უმეტეს, არც სადიმპიტაუროდ სწვევია. იგი ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე ჩამოვიდა, რაც საქართველოს დედაქალაქში მსოფლიოს თასის გათამაშებას უკავშირდებოდა.

ეს შეჯიბრება შემოდგომაზე გაიმართება, მანამდე კი, არც ისე ბევრი დროა დარჩენილი და არც საორგანიზაციო საქმეებია ცოტა.

ჩვენ ჩვენის მხრივ ჭიდაობის უფრო შორეულ მომავლით დავინტერესდით და მარტინეტს სიტყვა ამ სახეობის ოლიმპიურ ბედზე ჩამოვუგდეთ.

საქმე ისაა, რომ დღეს სულ უფრო ხშირად საუბრობენ ოლიმპიური პროგრამის გიგანტომანიაზე. ფიქრობენ მის შემცირებას და საამისოდ ოლიმპიური პროგრამიდან ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის ამოღებაზე ფიქრობენ.

„ათენში და პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქამდე იყო — ამბობს რაფაელ მარტინეტი — ოლიმპიურ პროგრამაში ცვლილებები 2012 წლის თამაშებიდანაა მოსალოდნელი. როცა ეს გადაწყდება, იმედია გაითვალისწინებენ ბერძნულ-რომაული და საერთოდ ჭიდაობის ოლიმპიურ ისტორიას და ტრადიციას. ამ მხრივ მდიდარი წარსული გვაქვს და ჭიდაობა ანტიკური ოლიმპიური და სხვა ელინური თამაშების პროგრამაშიც იყო. გასათვალისწინებელია ჭიდაობის დღევანდელი გეოგრაფიაც, ვფიქრობ, რომ ჭიდაობა დღეს მრავალ ქვეყანაში პოპულარულია.

რჩება, მესამე პრობლემა — მოჭიდავეთა შეჯიბრებების პრესითა და ტელევიზიით დაინტერესება. ამ მხრივ ბევრ სახეობას ჩამოვრჩებით და ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით უნდა გავამახვილოთ. ჩემი მხრივ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ოლიმპიურ ჭიდაობას პრობლემები არ შეექმნას. მეტიც, ვიბრძოლებ, რომ ქალთა ჭიდაობაში წონითმა კატეგორიამ იმრავლოს.“

ავთანდილ ბუკიშელი

ვარაზ დოლიძაშვილის ფოტო

შეხვედრა სეოკ-ში. მარცხნიდან: საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, მისი მოადგილე, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მეთაური ათენში ლერი ხაბელოვი, სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, რაფაელ მარტინეტი და გოჩა ძასოხოვი

თქვე უჯიგროებო!

ჯონ მაპი რობოტებს ებრძვის



ბიბ-ბიბ-ბიბ

მსოფლიოს ოდინდელმა პირველოსანმა ჯონ მაკინროიმ თანამედროვე მეჩოგნეები „რობოტებს“ შეადარა და თქვა, რომ „მათ პიროვნულობა აკლიათ“.

„მეჩოგნეთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩემთვის დართ ვეიდერივით არიან. დართ ვეიდერი ხომ გახსოვთ, „ვარსკვლავეთის ომებიდან“, ნახევრად კაცი და ნახევრად რობოტი რომ არის?! ახლანდელი მოთამაშეები სწორედ მაგ ტიპს მაგონებენ. შესაძლოა, ისინი კარგი, გამორჩეული ათლეტები იყვნენ, მაგრამ სად არის ვნება, სად არის გრძნობები? სჯობს, კორტზე გასული მეჩოგნე აშკარად არ გევასებოდეს, ვიდრე ამთსავით არაფერს გრძნობდე და არაფერს გამოხატავდე.“

ლეგენდარული ამერიკელი, ვინაც ახლა 45 წლისაა და ბიბისისთვის კომენტატორობს, თავის დროზე არა მხოლოდ უნატფესი მოთამაშე, არამედ საუცხოო შოუმენიც გახლდათ.

ჰოდა, ამიტომაც თვლის, რომ ახლანდელ თაობას სწორედ ის ღვთაებრივი ნაპერწკალი აკლია, რომლისგანაც თავად ჯონი და მისი არანაკლებ ლეგენდარული მეტოქენი კორტზე ჯადოსნურ სანახაობებს ანთებდნენ.

„ახლანდელებს მეტი ხალისი, მეტი გამომგონებლობა სჭირდებათ. თორემ რომ ვუყურებ, თითქოს კორტზე ყოფნაც არ სიამოვნებთ.“

ოთხგზის აშშ-ისა და სამგზის უიმბლდონის ჩემპიონი გვაფრთხილებს, რომ ჩოგბურთი უცილობლად თავდაღმართში დაეშვება, მეჩოგნენი განწყობას თუ არ შეიცვლიან.

„ისინი თავდახრილები და გულჩათხრობილები არიან. რეიტინგსიის მეთხუთმეტეადგილოსანი მხოლოდ იმ თოთხმეტზე ფიქრობს, სიაში მის წინ რომ დგას. სხვა მას არაფერი ედარდება. ამათ ჰგონიათ, ცხოვრება. ეს მხოლოდ პროფესიული სპორტია და სხვა არაფერი. თუკი რაღაცა არ ვიღონეთ, ჩოგბურთს მაგრად გაუჭირდება. აბა, რობოტების ყურება ვის რა ჯანდაბად უნდა.“



ჟუსტინ ენენი და კიმ კლაისტერსი უიმბლდონს გამოეთხოვნენ

უიმბლდონს სახელი აკლდება

წლევანდელი უიმბლდონობის დაწყებამდე რამდენიმე დღეღა რჩება და უკვე ცნობილია, რომ მასზე რამდენიმე სახელიანი მოთამაშე ვერ გამოვა.

ამათგან უმთავრესად მოსახსენიებელნი არიან ქალთა პირველმეჩოგნენი — ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი. ჟუსტინს ისევ ის ვირუსი აღალატებს, რამაც მას არც როლანგაროსობა შეარგო და უკვე მეორე წრეშივე წააფორხილა. კიმმა კი მარცხენა მაჯის გამო როლანგაროსობაც გამოტოვა და, რაკიღა ახლა გეგმავს ოპერაციის გაკეთებას, დიდ კორტზე კიდევ სამი თვის განმავლობაში ვერ ვიხილავთ.

ფეხის ტრავმის გამო შინ დარჩება ახლახანს მოთავებული როლანგაროსობის გამარჯვებული გასტონ გაუდიო, ვისაც უიმბლდონზე აქამდე ხუთჯერ ეცადა და მეორე წრეს ერთხელაც ვერ გასცდენოდა.

დაისვენებენ ბარძაყმტკივანი გუსტავო კუერტენი, რომლის საუკეთესო იქაურ შედეგად 1999 წელს მეოთხედფინალში თამაში ითვლება; მაროკოელი იუნეს ელ აინაუი, რომელსაც მიზეზი არ დაუსახელებია; მაჯაგადამტვრეული ფრანგი პოლ-ანრი მათიო, ასევე მაჯამტკივანი ფინელი იარკო ნიემინენი და მუხლდაშავებული არგენტინელი მარიანო საბალეტა.

ბარძაყი გამიზეზებია და მის მიერ 1992 წელს მოგებულ ტურნირზე ბუქნაობას ეჭვობს ანდრე აგასი. 34 წლის არმენიამერიკელს უკვე სამი თვეა, კარიერის მე-800 მატჩი აქვს მოსაგები და ეს ვერაფრით მოუხერხებია. ჩანს, ამას ვერც ლონდონურ კოინდარზე შეძლებს.

როლანგაროსობის დამარცხებული ფინალისტი გილერმო კორია კი უიმბლდონზე უცილობლად გამოვა, მაგრამ ამას უმწვრთნელოდ იზამს. ფაბიან ბლენგინოსთან გაყრა მას თურმე უკვე დიდი ხნის წინ განუზრახავს, მაგრამ ამის საჯაროდ განცხადება პარიზულ ფინალსა და სტელა არტუას პირველ წრეში დამარცხებათა შემდეგ არჩია. თავად კი ამბობს, ამ მარცხებს ჩვენს განშორებასთან კავშირი არა აქვს, ბლენგინო გადასარევი კაციაო, მაგრამ მილეთი ამ ორ ამბავს შორის მაინც ორგანულ კავშირს ხედავს და გინდაც შეეკითხე.

ლევან ძელაურაძე

საქართველო «ა» vs ბლუ ბულზი

16 ივნისი. რუსთავი. „ფოლადი“

საქართველო „ა“, შერკინება: ირაკლი ჭყონია, ირაკლი ალიმბარაშვილი (ყოჩები), ელიზბარ ყუფარაძე, ვახტანგ ახვლედიანი (ხულიგანა), შოთა მელიქიძე, ზურაბ კორკოტაძე (უნივერსიტეტი), დავით ბალანჩივაძე, შალვა პაპაშვილი, შოთა საყვარელიძე (იმედი-L აკადემია), გიორგი სანიკიძე, ალეკო მჭედლიშვილი, ზაზა ვალიშვილი (ლელო), გიორგი ჯოხია (ლოკომოტივი), დიმიტრი პავლოვი (უგუნდო)

შაბანა ხაზი: ვახტანგ ფაილოძე, დავით კაჭარავა, გიორგი კაჭარავა, ვანო სოხაძე, თემურ სოხაძე, ლაშა შუბითიძე (ყოჩები), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო), რევაზ გიგაური, ზვიად კობერიძე, ლუკა ხაჩირაშვილი (ლოკომოტივი), ბექა სარდანაშვილი (ხულიგანა)

ბლუ ბულზი: 15 რაიან ფანდერბერგი, 14 კიგან ფრედერიქსი, 13 დილან დეს ფონტეინი, 12 დიონ ჰენტერი, 11 ლაფრეს უისი; 10 მორნე სტეინი, 9 ნორმან ჯორდანი; 8 კარელ ჰოფმანი, 7 პიტ კრაუზე, 6 უიმ ერლოუ, 5 ფრანსუა ფან სხოვენბურგი, 4 ბრიან ფერმაკი, 3 რიჩარდ ბანდსი, 2 გარი ბოთა, 1 ქიის ლესინგი

სათადარიგოები: 16 კობუს ფან დერ ვალკი, 17 ანდრეს ჰუმანი, 18 ვესელ რუ, 19 რუან ფერმუილენი, 20 დენი ფან დერ მერვე, 21 ლუის სტრიდომი, 22 ჯეიპი ნილი

ხარისთავიანები რუსთავში

„ბლუ ბულზი“ დღეს ქართველ მორაგბეებს მეორედ დაუპირისპირდება. საღამოს ექვს საათზე რუსთავის „ფოლადის“ ოღროჩოღრო მინდორზე „ლურჯი ხარები“ საქართველოს „ა“ ნაკრებს შეერკინებიან. ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდის შექმნა ქართულ რეალობაში ახალი სიტყვაა და დროებით მასაც დავით ჩავლეიშვილი და მალხაზ ჭეიშვილი თავკაცობენ. შემდეგ ჯერზე კი ალბათ თავისი მწვრთნელიც ეყოლება.

„ა“ ნაკრები დღეს ლეგიონერების გარეშე შეეცდება ჯანიანი მეტოქის შეჩერებას. თამამად შეიძლება, მას საკლუბო ნაკრებიც დავარქვათ. გამონაკლისი მხოლოდ უგუნდოდ მყოფი დიმიტრი პავლოვია. და კიდევ, გუნდში ძალზე ბევრი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშეა.

სასტარტო თხუთმეტის შეტყობას ქართველი მწვრთნელებისგან ამაოდ ვეცადეთ. ისინი საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ დილით მიიღებენ. აფრიკელებმა კი ძირითადები და სათადარიგოები საღამოს ვარჯიშის დასრულებისთანავე გაგვიმხილეს. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ჰაიკე მაიერი შედარებით სუსტ შემადგენლობას აყენებს, თუმც „ბლუ ბულზში“ რომ ძლიერსა და სუსტს შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, ნურც ამას დავივიწყებთ.

უძლიერესი „ხარების“ გამოყვანას მაიერი 20 ივნისს, ეროვნულზე აპირებს, თუმც გუშინ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა. ზორბა მეორეხაზელი გეო კრონხე მოულოდნელად სამშობლოში გაბრუნდა. მიზეზიც ისეთია, „ბულზის“ ფანებს რომ გაუხარდებოდათ. კრონხეს სამხრეთ აფრიკის ნაკრებში უხმეს ირლანდიელებთან მეორე ტესტ-მატჩში სათამაშოდ. იგი „ბულზში“ თანაგუნდელ ბაქიზ ბოთას შეცვლის, რომელმაც რამდენიმე დღის წინ სწორედ ირლანდიასთან პირველი თამაშში ტრავმა მიიღო.

რუსთავულ შეხვედრაზე დასწრება უფასო იქნება. თბილისელ გულშემატკივრებს შეგიძლიათ, ბილეთისთვის საჭირო თანხა სამგზავროდ გადადოთ. სიამოვნება კი აფრიკელებზე იყოს, და ღმერთმა ქნას, ჩვენებზეც. თუმც აქედანვე გირჩევთ ანგარიშზე მეტი ყურადღება უშუალოდ თამაშის დეტალებს მიაქციოთ.

გაფრი კეთილაძის ფოტო

თითქმის ორმეტრიანი დენი როსოუ ქართველებს მერამდენედ ალელოვებს

დენი როსოუ: თქვენს თვალებში ცეცხლი ანთია

ქართველ მორაგბეებს ყველაზე შედეგიანად აფრიკელთაგან მეორეხაზელი დენი როსოუ ეთამაშება. „ბლუ ბულზის“ ზორბა ფორვარდმა რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს თასზე ბორჯღალოსნები ორჯერ დაალელოვა, ოთხიოდ დღის წინ კი უკვე „ლოკომოტივზეც“ გაილაღა. თამაშისას წინ ისე გავეშებით მიიწევს, თითქოს მოწინააღმდეგეების ერთიანად დალეწვა უნდაო. მაგრამ როსოუ მოედანსგარეთ საკმაოდ მშვიდი და მხიარული მოსაუბრე გამოდგა. პირველ მატჩამდე ვაკეში ჩატარებული ვარჯიშის შემდეგ თანაგუნდელებთან ერთად იდგა და „ლოკომოტივის“ სახურავზე წარწერას — LOKOMOTIVE — შესცქეროდა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ეს ჩემპიონთა ლიგაში წლეულს ნათამაშევი რუსული გუნდი იყო. ფეხბურთში უკეთ გარკვეული ნაწილი ამ საქმიდან რუსებს გამორიცხავდნენ. ხმამაღალ მსჯელობაში რამდენიმე საფეხბურთო გვარმაც გაიჟღერა და მავანმა აფრიკელმა ქინქლაძეც ახსენა. როსოუ კი, როგორც ჩანს, ფეხბურთს დიდად არ ქომაგობს. მალევე გაეცალა ჯგუფს და მოთელვას შეუდგა. მგონი, შეამჩნია, რომ ველოდით და ამიტომაც განმარტოვდა. გუნდელებისგან დამკვიდრებული ტრადიცია არც მან დაარღვია და პირველ რიგში საქართველოს ქებას მოჰყვა:

— მიხარია, რომ შეკრებას ასეთ კარგ ქვეყანაში გავდივართ. მშვენივრად ვვარჯიშობთ და ვისვენებთ. ყველაფრით გვაოცებთ. ყველაზე დიდხანს კი ალბათ მაინც თქვენი სტუმართმოყვარეობა დამამახსოვრდება.

— საქართველოს შესახებ პირველად როდის გაიგეთ?

— მსოფლიოს თასზე ჩვენი დაპირისპირების შემდეგ. სიმართლე გითხრათ, მანამდე თქვენს ქვეყანაზე არაფერი ვიცოდი.

— იმ თამაშში ქართველები ორჯერ დაალელოვე...

— ძალიან მძიმე თამაში იყო, იმაზე მძიმე, ვიდრე წარმოგვედგინა, მაგრამ მაინც მოვიგეთ. ჰო, მე ორი ლელო დავდე.

— ქართველი გუნდი თუ მოგეწონათ?

— რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად მათ თვალებში ანთებული ცეცხლი მენიშნა. მოედნის ყოველ მონაკვეთზე იგრძნობოდა, რომ უდიდესი პატრიოტები იყვნენ. განსაკუთრებით ფიზიკურად გამოირჩეოდნენ და გვარიანი წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

— თქვენ რაღა დაგემართათ ავსტრალიაში?

— სამწუხაროდ, ჩემპიონატი უსახელოდ დავასრულეთ, მაგრამ გარწმუნებთ, ახალ ზელანდიას არაფრით ჩამოვუვარდებოდით. უბრალოდ, არ გაგვიმართლა. მათ კარგად ითამაშეს, ჩვენ კი არაფერი გამოგვივიდა.

ოთარ მაღლაკელიძე

P.S. *სანამ როსოუს ვესაუბრებოდით, მოთელვა მთელმა გუნდმა დაასრულა და მოედანზე მარტო ჩვენ და „ბულზის“ მთავარი მწვრთნელი დავრჩით. ჰაიკე მაიერი მოგვიახლოვდა და გვთხოვა, შეგირდი მისთვის დაგვეთმო, თან დააყოლა, კარგად დაიმახსოვრეთ, ეს ბიჭი მალე სამხრეთ აფრიკის ნაკრების ლიდერი იქნებაო. გვეგონა, ხუმრობდა, მაგრამ მწვრთნელმა ერთხელაც შეაქო, მას ყველა მონაცემი აქვს, მსოფლიოს ვარსკვლავი გახდეს და მანამდე დიდი დროც აღარ რჩებაო.*

შერკინება ქლიერდება
ფრანგები ჩამოგვიფიდნენ

გაფრი კეთილაძის ფოტო

მალხაზ ჭეიშვილი ჯერ კიდევ ზვერავს სამხრეთაფრიკელებს

თამაშისწინა ბოლო დიღმური ვარჯიშის დასრულების შემდეგ აფრიკელი მორაგბეები დასასვენებლად თავიანთ ოთახებში გამოიკეტნენ, ხოლო მწვრთნელებმა საპრესკონფერენციო დარბაზს მიაშურეს ქართველი კოლეგებისთვის თეორიული მეცადინეობის ჩასატარებლად. მსმენელთა შორის ჩვენი ნაკრების თავკაცებიც იყვნენ. მალხაზ ჭეიშვილთან გასაუბრება მხოლოდ სემინარის დასრულების შემდეგ მოხერხდა

— სასტარტო შემადგენლობას ჯერ ვერ გეტყვით. საერთოდ კი ოცდაექვსი მორაგბე ემზადება. ძირითადად თბილისური კლუბების წარმომადგენლები. ერთადერთი დიმიტრი პავლოვია უგუნდო. აქამდე საფრანგეთში თამაშობდა და ალბათ კვლავ იქ დაბრუნდება.

— „ა“ ნაკრებიდან 20 ივნისის თამაშისთვისაც ხომ არ დაიმატებთ ვინმეს?

— ალბათ ასეც იქნება, თუმც რამდენს, ჯერ ვერ გეტყვით. კიდევ ერთხელ დავაკვირდებით.

— ძირითადი ნაკრები აქამდეც უნდა შეკრებილიყო. როდისთვის გადაიდო?

— ბიჭები დღეს შეიკრიბნენ, მაგრამ „ა“ ნაკრების გამო მწვრთნელები ხვალ-ზეგ შევუერთდებით. მანამდე შეკრებას კაპიტანი ილო ზედგინიძე უთავკაცებს.

— ლეგიონერებიც ჩამოვიდნენ?

— მხოლოდ ექვსი და ექვსივე შერკინების კაცი. სანდრო ესაკია, გიორგი კუთარაშვილი, დავით ბოლღაშვილი, ბესიკ უდესიანი და აქვსენტი გიორგაძე უკვე აფრიკელებთან სათამაშოდ ემზადებიან. ჩამოსულია გოდერძი შველიძეც, მაგრამ მხრის ტრავმის გამო ალბათ მოედანზე ვერ გავა. მისი თამაში სარისკოა. ამიტომ ჯობია, დაისვენოს.

— ბოლოს სემინარზეც გვითხარით.

— საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. პირველად ფიზმომზადების მწვრთნელი გვესაუბრა და ყველა ნიუანსში დაწვრილებით გაგვარკვია, შემდეგ კი უკანა ხაზის თავკაცმაც გაგვიზიარა თავისი გამოცდილება.

— ქართველთა მოსმენაც ხომ არ უნდოდათ?

— მხოლოდ ისინი საუბრობდნენ. ჩვენ კი კითხვებს ვუსვამდით. პარასკევისთვის კიდევ ერთი სემინარი დაიგეგმა და იგი მთლიანად დაცვაში თამაშს დაეთმობა.

— „ბულზის“ თავკაცთან მომავალ მატჩებზეც ხომ არ გისაუბრიათ?

— სემინარზე ამის დრო არ იყო. მანამდე კი ცოტა ხანს ვისაუბრეთ და მითხრა, რომ რუსთავში ახალგაზრდული შემადგენლობის დაყენებას აპირებს.

ოთარ მაღლაკელიძე

ფეხბურთი

ისლანდია
პრემიერდივიზიონი. VI ტური

ფილკირი 2:1 ვიკინგური
ვესტმანაეიარი 4:0 კეფლავიკი

შვედეთი
თასის III ეტაპი

გიოტეგორგი 4:1 ტრელეგორგი

შკრაინა
პრემიერლიგა. XXIX ტური

ოგოლონი 3:1 არსენალი

ირლანდია
ლიგის თასი. II ეტაპი

ლონგფორდი 2:0 დუბლინ სიტი

ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი

არათბილისქუჩურად

მეხუთე დღეა, მოზვერივით „ხარები“ დიღომში ფეხბურთელთა ბაზას შესევიან და 21 ივნისამდე იქ იცხოვრებენ და ივარჯიშებენ.

კარგს ჭამენ, კარგს სვამენ და თამაშიც რიგიანი იციან. კაი ბიჭებიც არიან, ოღონდ არათბილისქუჩური გაგებით. ერთხელ უკვე ხალხის თვალწინაც იბურთავეს. მერე რა, რომ ჩვენი გუნდი დაჩაგრეს, სამაგიეროდ, ლაღი თამაშით გვასიამოვნეს.

წინ ორი სარაგბო გაკვეთილიც გველის, „ლურჯ ხარებს“ დღეს მეორედ და 20 ივნისს მესამედ ვნახავთ, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ ამ ოცდაათ ახმახს სტადიონს გარეთ წააწყდით. თბილისის ქუჩებში სიარულით დიდად განებივრებულნი არ არიან, მაგრამ შიგადაშიგ საამისოდაც იცლიან. ორიოდ დღის წინ კუს ტბაც დალაშქრეს და ერთ-ერთ იქაურ ბარს ლამის მთელი წლისთვის გათვლილი ვისკი გაუსაღეს, მანამდე კი ერთი რიგითი შუადღის ვარჯიშის შემდეგ, მოშიებულზე 200 ბოთლი ლუდი ჩაცალეს.

ქართული მასპინძლობით აღფრთოვანებულები საპასუხო პატივისცემას გაისად თავიანთ ქვეყანაში ჰპირდებიან ჩვენს მორაგბეებს. სამი დღის წინ კი ხელი უფრო ვიწრო წრეში გაშალეს. ბუნებაში ცეცხლი დაანთეს და გარეული ქურციკის მწვადები ააშიშხინეს. თურმე სამწვადე სამშობლოდან ჩამოუტანიათ. გვარიანადაც მოულხინეს, დილამდე გიტარაზე იქეიფეს.

ყველაზე პატივსაცემნი კი ეს ბიჭები თავისი უბრალოებით არიან. ვარსკვლავომანია მათთვის უცხოა და ალბათ შეურაცხმყოფელიც. პირველი ვარჯიშის სანახავად მისული ჟურნალისტების წინაშე ბორჯომის შეკვრები ისე ათრიეს, დამალვა არავის უცდია.

„ხარებს“ წინ კიდევ თითქმის მთელი კვირა აქვთ. თბილისური შეკრებიდან დროსტარების გარდა ბევრი კარგი მოგონება გაგვყვებაო — თავადვე თქვეს, თუმც ზოგიერთს შეიძლება სუვენირის საყიდელი ფულიც სასესხებელი გაუხდეს. სავარჯიშო თუ სათამაშო ფორმებთან ერთად სამშობლოდან „სონი ფლეისთეიშენის“ კომპიუტერებიც ჩამოუტანიათ და ყველა ოთახში ვირტუალური რაგბია გაჩაღებული, ძირითადად ხუთ დოლარამდე ფსონით.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge